მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N10 (9226) 10 აპრილი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

მილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე ღღესასწაულს!

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სარკინიგზო მაგისტრალი გაშენდება

2

3

გვერდზე 9 აბჯილი!

საქართველო ჩვენთვის სიურპრიზი იყო

4

ქალთო�oლი ფოლოლოგიიდან გალმოსული ქალთვალი

7

მესამე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე

"სამომავლოდ ბრიწჯოლ ოქროთი ფნდა შეკვლილ"

11

ომი არ შეიძლება მხოლოდ ერთმანეთის ნინააღმდეგ იყოს მიმართული

6

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სარკინიგზო მაგისტრალი გაშენდება

ნინო ნანიტაშვილი

დროის ათვლა დაიწყო – 364 დღეში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში შეხვედრა ახალი სარკინიგზო მაგისტრალით იქნება შესაძლებელი. პროექტს, რომელიც საქართველოს მთავრობის გეგმის, კერძოდ კი, სივრცითი მოწყობის შემადგენელი ნაწილია, ქუთაისში 3 აპრილს პრემიერ-მინისტრმა ჩაუყარა საფუძველი. ცერემონია ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა. სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე 3 კილომეტრია, მშენებლობა 2018 წლის იანვარში დასრულდება.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს რკინიგზის მთავრობის ხელმძღვანელობასა და სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჩავიდა.

პრემიერმა თავის მისასალმებელ სიტყვაში მადლობა გადაუხადა ყველა იქ მყოფ ადამიანს მასთან ერთად იმ დიდი სიხარულის გაზიარებისათვის, რაც თან ახლავს მნიშვნელოვანი პროექტის დაწყებას. მადლობა გადაუხადა ასევე ახალგაზრდებს, რომლებმაც საზეიმო განწყობა შექმნეს. პრემიერის თქმით: "ასეთი განწყობა დაისადგურებს კოპიტნარის აეროპორტის ჭიშკრის წინ სულ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ახალი სარკინიგზო მაგისტრალი დასრულდება და რკინიგზის ფუნქციონირება დაიწყება. ეს გახლავთ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სარკინიგზო მაგისტრალის 3 კილომეტრიანი ხაზის მშენებლობა და ამ ხაზის მეშვეობით ყველა სამგზავრო მატარებელი აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით თუ პირიქით, გაივლის სწორედ ამ სადგურს და გაჩერდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ჭიშკრის წინ.

სწორედ ამ ადგილზე, სადაც ვიმყოფები, იქნება რკინიგზის ბაქანი, რომლიდანაც მგზავრები შეძლებენ, სულ რამდენიმე ნაბიჯში მოხვდნენ აეროპორტის ტერმინალში. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი ამ სადგურთან ერთად გახდება ის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, სადაც ყველა ჩვენი თანამოქალაქე, რომელიც მოინდომებს, რომ ხელმისაწვდომ ფასებში იმოგზაუროს ევროპაში, დღეს უკვე უვიზოდ, თანამედროვე კომფორტული მატარებლებით იმგზავრებენ, რომლებსაც დღეს აქ ხედავთ დეკორაციების სახით. რამდენიმე თვეში იქნება აქ შტაბლერის მატარებელი, რომელიც გაივლის აეროპორტის წინ და ყველა, ვინც მოისურვებს მგზავრობას, ისარგებლებს ამ მატარებლით.

ქუთაისის აეროპორტში ჩამოსული ყველა მოგზაური თუ ჩვენი თანამოქალაქე შეძლებს, აქედან მოხვდეს სულ რამდენიმე საათში საქართველოს ნებისმიერ წერტილში. იქნება ეს ზღვის თუ მთის კურორტები, ახლად აშენებული ამბროლაურის აეროპორტი თუ თელავის. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ასევე, სხვა მცირე აეროპორტის მშენებლობა, დაწყებულია პროექტირება სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორიც არის საავტომობილო მაგისტრალი – რიყოთის მონაკვეთი, რომელიც ორიოდე წელიწადში დასრულდება და შესაძლებელი იქნება, 2 საათში თბილისიდან ჩამოვიდეთ აქ კომფორტული სარკინიგზო ტრანსპორტით.

აქ დღეს ჩვენ ვხსნით ძალიან მნიშვნელოვან პროექტს, ეს არის რკინიგზის და აეროპორტის ერთობლივი ფუნქციონირება.

ქუთაისი ხდება ძალიან მნიშვნელოვანი ტურისტული, ლოჯისტიკური სატრანსპორტო ცენტრი. ამ პროექტის შედეგად საქართველოს ყველა წერტილი დაუკავშირდება ქუთაისს, სულ ორიოდე საათის მგზავრობის მანძილით. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ცენტრი იქიდან გამომდინარე, რომ აქედან შესაძლებელი გახდება, როგორც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ასევე მესტიის საავტომობილო მაგისტრალის შედეგად შესაძლებელი იქნება, ჩრდილოეთ და სამხრეთ საქართველოში ძალიან ადვილად მისვლა. ამ სარკინიგზო ბაქნის მშენებლობა არ არის მხოლოდ და მხოლოდ სარკინიგზო ობიექტის მშენებლობა. ეს არის შემადგენელი იმ ძალიან დიდი სივრცითი განვითარების პროექტისა, რომელიც საქართველოს მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილს შეადგენს. იგი გულისხმობს საქართველოს ყველა წერტილში ძირითადი ინფრასტრუქტურის შეყვანას, ასევე, ძირითადი მომსახურებების მიტანას''.

პრემიერმა ჩართო ღილაკი, რომლითაც ჩაირთო მრიცხველი. გიორგი კვირიკაშვილი დაგვპირდა, რომ დღეიდან, მაქსიმუმ ერთ წელიწადში, ეს სარკინიგზო ბაქანი ამოქმედდება. სარკინიგზო ცენტრი აეროპორტთან ერთად იქნება იმ დინამიკის სიმბოლო, რომლისკენაც საქართველო ისწრაფვის, როგორც თანამედროვე ევროპული დაგეგმარების მქონე ქვეყანა.

გახსნის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულები იყვნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა-საკრებულოს ოფიციალური პირები. პრემიერმა აეროპორტში მისვლამდე გახსნა ქუთაისში ახალი თანამედროვე პირველი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო "ბესტ ვესტერნი", რომელიც საპარტნიორო ფონდთან ერთად განხორციელდა.

იმ დღეს გიორგი კვირიკაშვილი საწარმო "იმერში" იყო, რომელიც არის თანამედროვე საფეიქრო წარმოება, სადაც პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში დამატებითი დაფინანსების შედეგად შესაძლებელი გახდა 200-მდე სამუშაო ადგილის დამატება.

ახალგაზრდული ინიციატივა ჭაგნის სასარგებლოდ

თეა ბაბუნაშვილი

ჭაგანში სოფლის ყრილობა ჩატარდა. სკოლის შენობაში ნებადება იკრიბებოდა ყოველდღიური ჯაფისგან დაღლილი მოსახლეობა. ახლა სოფლისთვის საჭირბოროტო საკითხებზე უნდა ემსჯელათ.

თავადაც კარგად იცოდნენ, გასაკეთებელი სად რა იყო, მაგრამ იმ ახალგაზრდა ვოვო-ბიჭების მცდელობამ, დედაქალაქიდან რომ ჩამოვიდნენ, კრების ჩატარება დაარჩარებიათ და მოანდომებიათ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქისა" და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი სტუდენტების თვითმმართველობაში ჩართვას და მათი მეშვეობით სოფლის პრიორიტეტების ადგილობრივ ხელისუფლებამდე მიტანას გულისხმობს. პროექტი უკვე მესამე წელია წარმატებით მიმდინარეობს. სტუდენტებისგან შემდგარი 50 ჯგუფი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სოფელში განაწილდა. "ჩვენს ჯგუფს სამი სოფლიდან – ჩხენიში, ეწერი და მელაური – ერთზე უნდა გაეკეთებია არჩევანი და იგი ჩხენიშზე შევაჩერეთ. პრიორიტეტი აქ სარწყავი და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება და სასაფლაოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაა. ჩვენ ჩვენეული პროექტი გვაქვს, რომელსაც მოსახლეობას კრების მიმდინარეობისას გავაცნობთ."_ სიტუაციაში გვარკვევს ჯგუფის წევრი და პროექტის მონაწილე მარიამ მუქერია.

სოფლის კრებაზე ამ სამივე პრობლემის მოგვარების საჭიროებაზე ბევრი ისაუბრეს. საკუთარი აზრი გამოთქვეს და სოფელმა თავის თავზე აიღო სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგების საკითხი. გადაწყდა, გაეახლებიათ სასაფლაოს მცველის ტრადიცია. მუნიციპალიტეტის გამგებელმაც, რომელიც კრებას მის პირველ მოადგილე დავით ბახტაძესთან ერთად ესწრებოდა, გაუსვა ხაზი, რომ "რაც სახელმწიფოს გასაკეთებელია, სახელმწიფო გააკეთებს, ის კი, რისი გაკეთებაც სოფელს შეუძლია და ევალება, სოფელმა თავად უნდა გააკეთოს. ერთგან არხებს ვწმენდდით და ბოგირებიც გამოგვიწმინდეთო, მოგვთხოვეს. საკუთარი ეზოს წინ არხის გაწმენდა სახელმწიფოს არ უნდა მოსთხოვო კაცმა. ძალიან ნუ გავზარმაცდებით."

შეკრებილ ჭაგნელებთან კიდევ ერთ თემაზე ისაუბრეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა. ეს კარიერის საკითხი გახლდათ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიული გზა გაიჭრება და მძიმეწონიანი ტრანსპორტი წლობით გაუკეთებელ და დაბოლოს სრულად რეაბილიტირებულ სოფლის თემშარას არ გააფუჭებს, თუ შიგა გზების მოწესრიგებას რამდენადმე საკუთარ თავზე აიღებს დაინტერესებული კომპანია, სოფელი "გარისკავს" და დათანხმდება კარიერის ამუშავებას.

"სასიამოვნოა ახალგაზრდების აქტიურობა, თუმცა ამ საკითხებზე რაიონის ხელმძღვანელობა საქმის კურსში, რა თქმა უნდა, იყო. აქამდე სოფლის პროგრამას ველოდით, ვფიქრობდით, ასე გადაგვჭრა ეს საკითხი. ახლა ფაქტის წინაშე დავდექით, სოფლის პროგრამით დაფინანსება შეჩერებულია. სავარაუდოდ, სხვა გზები გამოიძებნება მათ მოსაგვარებლად. შარშან ბევრი სანიაღვრე არხი მოვაწესრიგეთ, მაგრამ ყველას არ ეყო თანხა. ამ ახალგაზრდების და პროექტის დახმარებით ჩვენი პრობლემები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გასცდება კიდეც და უფრო საიმედო გახდება მათი მოგვარების გზების მოძიება." _ აღნიშნა სოფელში გამგებლის წარმომადგენელმა, ოთარ წულეისკირმა. რაც შეეხება კარიერის თემას, რომელიც ზოგიერთ სოფელში მწვავედ დგას, ოთარ წულეისკირი თანასოფლელების აზრს იზიარებს, რომ ახლად აღდგენილი სოფლის გზა, 30 წელია, მწყობრიდან რომ იყო გამოსული, არ უნდა შეეწიროს კარიერს. "მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრივად უნდა ვიაზროვნოთ და გავითავისოთ, რას ნიშნავს ქვეყნისთვის ავტობანის მშენებლობა, ცალკეული სოფლის ინტერესებიც გავითვალისწინებული უნდა იქნას. მჯერა, ეს ასეც იქნება." _ დასძენს იგი.

ახალგაზრდების ინიციატივამ ჭაგნელებს სოფლის ყრილობა გაამართვინა. სტუდენტებისთვის ეს ერთგვარი გაკვეთილი იყო თვითმმართველობების მუშაობის სამზარეულოში გასარკვევად, სოფლისთვის კი შეხვედრა პრობლემებზე თავის დასადგმელად.

მრავალსართულიანი სახლების ფასადების მოწესრიგება იწყება

უმრავლესობა-უმცირესობის ერთნაირი კმაყოფილება თან სდევდა საკითხს, საკრებულოს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, შალვა არზუმანიანმა რომ გამოიტანა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა პრიორიტეტული საკითხია. 2017 წლის პროგრამაში საკრებულომ ცვლილება იმ განზრახვით შეიტანა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ერთი კარგი საქმის დაწყებისთვის ხელი არაფერს შეეშალა.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ზურაბ გოგიამ განაცხადა, ჯერ კიდევ 2014 წლიდან მუნიციპალიტეტში არსებობს პროგრამა, თამარ მეფის, რესპუბლიკის, რუსთაველის, ჭავჭავაძის, ერთი სიტყვით, ცენტრალურ ქუჩებზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგებას რომ გულისხმობს. პროექტი ითვალისწინებს, სახლების წინა და გვერდითი მხარეების შეკეთებას, წყალსაწრეტი მილების და აივნების განახლებას.

იგი სულ მალე დაიწყება და პირველ რიგში, რუსთაველის ქუჩაზე მდგარი საერთო საცხოვრებელი სახლები მოწესრიგდება. ქალაქში შემოსასვლელი ხიდიდან ქუჩის ბოლომდე 10 ბინის, №2; 6; 8; 10; 12; 14; 16; 23; 25; 27 ფასადები შეკეთდება. ამისთვის ბიუჯეტიდან 405 ათასი ლარი გამოიყო. რაც შეეხება, №4 ბინას, რომელიც საავტომობილო გზიდან ცოტა მოშორებით დგას, ფასადის შეკეთება არ სჭირდება, რადგან იგი, როგორც ერთ-ერთი უძველესი შენობა ქალაქში, ქვითაა მოპირკეთებული.

ამ ეტაპზე სამუშაოების დასაწყებად მხოლოდ ამხანაგობების შექმნას ელოდებიან. აღსანიშნავია, რომ წილობრივი მონაწილეობის პროცენტებს ბინების მცხოვრებლები არ გადაიხდიან, თანხის 100% ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

სამტრედიელი "რეფორმატორების" თავმჯდომარემ, იმედა გოგავამ განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა აღნიშნული პროექტის მისამართით. იმავდროულად აღნიშნა, "ცუდია, 21-ე საუკუნეში ამაზე რომ გვიწევს აქცენტის გაკეთება. მოწესრიგებულ ფასადებზე არ უნდა მიაწეროს, დაკაწროს, გააფუჭოს, ვინც იქნება, ახალგაზრდა, ბავშვი თუ მოხუცი. ამისთვის რაღაც ჯარიმა უნდა დაწესდეს კიდეც. უნდა გავითავისოთ, საკუთარი სახლის, ეზოს, ჭიშკრის იქეთაც რომ ჩვენია და ჩვენვე უნდა მოვუაროთ. და ერთიც, კარგი იქნება, თუ მოწესრიგებულ ფასადებს ბუნებრივი ყვავილების ქოთნებით დავამშვენებთ. ეს ლამაზიცაა, ძალიან თანამედროვეც, დიდი ქალაქის იერსაც მისცემს ქუჩას და ეკოლოგიურადაც გარკვეული შეღავათი იქნება." რაც შეეხება მის ამ წინადადებას, ზურაბ გოგია აცხადებს, რომ ყვავილების დამატება პროექტით გათვალისწინებული არ არის. თუკი ტენდერის შემდგომი დანაზოგით ეს შესაძლებელი გახდება, არც ამ შტრიხის გათვალისწინებაა გამორიცხული.

ტენდერი გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ გამოცხადდება. გაზაფხული ძალაში შედის და არც მისი დადგომის თანმდევი სამუშაოების დაწყება დააყოვნებს. ამგვარ დაპირებას იძლევიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. შედეგი კი შემოდგომაზე უცილობლად დაითვლება.

თეა ბაბუნაშვილი

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარის ნაწილებმა თბილისში მშვიდობიანი მიტინგი დაარბია. 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

სხდომა "სამტრედიის მაცნეში" თავჩარგული დეპუტატებით

თეა ბაბუნაშვილი

არაერთხელ შეგვინიშნავს, მაგრამ ამჯერად თვალშისაცემი იყო საკრებულოს სხდომის მოლოდინში, შიგადაშიგ მსვლელობისას, "სამტრედიის მაცნეში" თავჩარგული დეპუტატები. ეს ისე, წერილის განსხვავებული დასაწყისისთვის, და იმისთვისაც, რომ თვალს უხარია გაშლილი გაზეთი, ზოგადად გაშლილი გაზეთი, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ბევრმა არ იცის, ან უბრალოდ ვერც წარმოუდგენია, რომ პრესა ჟურნალისტიკის ხერხემალი იყო და დღემდე არის!

დასაწყისის ლირიულობა ახლახანს ჩავლილ პროფესიულ დღესასწაულს ვაპატიოთ, ახლა სრულიად სერიოზულად...

საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელზეც რეგლამენტით გათვალისწინებული 14 საკითხი განიხილეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში აპრილის სამში გაიმართა. დღის წესრიგის ჩამონათვალი, ცალკეულ ააიპ-ებსა და შპს-ებში მუხლობრივ თუ სხვადასხვა დროს გამოცემულ განკარგულებებში ცვლილებებს გულისხმობდა.

სამტრედიელი "რეფორმატორების" ლიდერი იმედა გოგავა დაინტერესდა, თუ რატომ არ გაიმართა გასული თვის ბოლოს კომისიის სხდომა, რომელზეც ერთჯერადი ფინანსური თუ სხვა დახმარების მსურველი მოქალაქეების განცხადებები იხილება. როგორც სოციალური სამსახურის უფროსმა, ლევან ახობაძემ განმარტა: "განკარგულებით არ არის დადგენილი, რომ კომისია, დახმარების მსურველთა განცხადებების განხილვისთვის, აუცილებლად თვის ბოლოს ჩატარდეს. უბრალოდ, ეს ასე გამოდის და ვაკეთებთ ხოლმე. ჯერ კიდევ წინა თვიდან ბევრი განცხადება დაგროვდა და მიდის მათზე მუშაობა. ესაა და ეს."

2017 წლის თებერვლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, შალვა არზუმანიანმა წარუდგინა კოლეგებს. ბიუჯეტში შესატანი ზოგიერთი ცვლილების განხილვისას, ახლახან ორად გაყოფილი "ნაციონალური მოძრაობის" პარტიად ჩამოყალიბებული ერთი ნაწილის, "ევროპული საქართველოს" თავმჯდომარე სამტრედიაში, ავთანდილ სტურუა, ნაგვის მანქანის შეძენის ნიუანსებით დაინტერესდა. ცნობილია, რომ მის შესასყიდად მუნიციპალიტეტი სესხს იღებს. ავთანდილ სტურუას მიერ დასმული საკითხი სწორედ ამას ეხებოდა. სესხის პირობებსა და საპროცენტო განაკვეთზე, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა და საკრებულოს დეპუტატმა, მამუკა ბიბილეიშვილმა კითხვა საფინანსო სამსახურის უფროსს, დავით ბაღდავაძეს დაუსვა. მისგან პასუხად მიიღო, რომ ხელშეკრულებაში პროცენტის ოდენობა განსაზღვრული არ იყო, რასაც მამუკა ბიბილეიშვილმა წარმოუდგენელი და აბსურდული უწოდა. მის კითხვაზე პასუხი საფინანსო სამსახურის უფროსის ნაცვლად იურიდიული და სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ დაკმაყოფილა. ბიბილეიშვილის ინტერესი გადამეტებული აღმოჩნდა ჯონი ახობაძისთვის _ დეპუტატისთვის უმრავლესობიდან. "კარგა ხანია, ეს თემა "საჯილდაო ქვად" იქცა. აინტერესებთ თუ არა, მაინც სვამენ კითხვებს მის ირგვლივ. ამიტომ, ხომ არ სჯობს, ერთხელ და სამუდამოდ შესყიდვების სამსახურის დახმარებით ნათელი გავხადოთ ამ პროცესის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები, რომ დამაინტრიგებელი ინტერესი ვერა და ვერ გამოიწვიოს?! არადა, იცის, არ იცის, ყველა ამას კითხულობს." _ განაცხადა მან. "ჩვენ რომელ კატეგორიაში გავდივართ, მცოდნეში თუ ვერ მცოდნეში?!" _ რიტორიკული გახლდათ მამუკა ბიბილეიშვილის ახალი შეკითხვა.

ავთანდილ სტურუა კიდევ ერთი საკითხით, გაგრძელდება თუ არა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, დაინტერესდა. თემა ცხადია, შეკამათების საბაბი გახდა, რადგან აღმოჩნდა, რომ არა! შალვა არზუმანიანმა განმარტა, "კონკრეტულად ეს პროგრამა შეჩერდება, თუმცა, სხვა დასახელების პროექტი ამუშავდება უფრო დიდი დაფინანსებით. ფაქტობრივად, სახელი შეიცვლება, საქმის კეთება კი გაგრძელდება." "თქვენთვის რა არის მთავარი, სახელი თუ საქმე?!" _ ეს კიდევ ერთი რიტორიკული შეკითხვა გახლდათ იმ სხდომაზე, უმრავლესობის დეპუტატისგან, შალვა არზუმანიანისგან დასმული.

"მთავარი პრინციპია, სოფელი გადაწყვეტს, რაში დახარჯოს გამოყოფილი თანხა, თუ ვინმე უკარნახებს მას ამას." _ უპასუხა მის რიტორიკას ავთანდილ სტურუამ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი იურისტი ჰყავს. ნონა იანიკოვას დეკრეტულ შვებულებაში გასვლის გამო, მის მოვალეობას ლილი ფხაკაძე შეასრულებს. ამიტომ, საჭირო გახდა საკრებულოს წევრებისა და აპარატის მომსახურებისთვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცებისთვის გამოცემულ განკარგულებაში ცვლილება შეტანილიყო. საკითხი სხდომაზე იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო კომისიის თაობაზე. ამირან გეგეშიძე ის ჭაგნელი გმირია, რომელმაც სიცოცხლე აფხაზეთის ომს შესწირა. დნმ-ით ამოცნობილი მისი გვამი წლების შემდეგ მიაბარეს მშობლიური სოფლის მიწას. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ამიერიდან მისი სახელი ჭაგნის საჯარო სკოლის მიმდებარე ქუჩასაც ერქმევა. სხდომის ბოლოს, თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას წინადადებით, დეპუტატები ფეხზე წამოუდგნენ დაღუპული გმირის ხსოვნას.

ყურადღება! მიმდინარეობს ცხოველთა ვაქცინაცია

ეს-ესაა ქალაქში ჩატარდა ცხოველთა ვაქცინაცია თურქულზე, სულ 800 სული მსხვილფეხა პირუტყვი აიცრა.

სოფლებში, ბაშსა და ჩხენიშში (იქ სადაც დაფიქსირდა შემთხვევები) მოხდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (500 სული) დამუშავება "ყირიმ-კონგოს" ვირუსზე.

ამჟამად მიმდინარეობს ცხოველთა ვაქცინაცია "ჯილეხზე".

აპრილის მეორე ნახევრიდან დაიწყება მსხვილფეხა საქონლისათვის სისხლის ანალიზის გაკეთება-გამოკვლევა "ბრუცელოზზე".

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორი სამტრედიაში, ექიმი ვეტერინარი, ბატონი ზაზა მეგრელიშვილი, რომელმაც ინფორმაცია მოგვაწოდა, თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, პირუტყვის მესაკუთრეებს, გაგებით მოეკიდონ ვაქცინაციის პროცესს, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა დაავადებები, მოსალოდნელი საფრთხე და დასძენს, რომ პირები, რომლებიც უარს განაცხადებენ ცხოველთა აცრასა და სისხლის ანალიზის აღებაზე, ადმინისტრაციული წესით 100 ლარით დაჯარიმდებიან.

ცნობისათვის: როგორც ვაქცინაცია, ისე სისხლის ანალიზი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოდ მიმდინარეობს.

ლევან გაბაჩავა

საქართველო ჩვენთვის სიურპრიზი იყო

ქეთევან ჭელიძე

"ვიზა-ლიბერალიზაცია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპასთან დაახლოების გზაზე". _ ასე ფიქრობს ბორენა ჩიტიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი. _ "ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარებას და კეთილდღეობას დემოკრატიის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხრივ. ეკონომიკის თვალსაზრისითაც უდიდესი პერსპექტივები გველოდება: ჩვენთვის იღება ევროპის დიდი ბაზარი, რომელიც გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას და შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობას".

ვიზა-ლიბერალიზაცია მისთვის კიდევ მეტი შანსია თავის უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობისათვის, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ. დირკ ალევენიც მისი მეგობარია. ნაწილობრივ, ქალბატონ ბორენას დამსახურებაცაა, ჰოლანდიელ ბიზნესმენს ასე რომ შეუყვარდა საქართველო და განსაკუთრებით, სამტრედია. სასათბურე მეურნეობა "იმერეთი გრინერშიც" სწორედ მასთან ერთად მივედით.

ღიმილითა და ქართული სტუმართმოყვარეობით შემოგვეგება გენერალური დირექტორი დირკ ალევენი. მეგზურობას და თარჯიმნობას "იმერეთი გრინერის" ოპერირების დირექტორი დავით ჩხეიძე გვიწევს. "40-45 დღეა საჭირო სალათის მოსაყვანად". _ გვეუბნება და ნახევარ ჰექტარზე გადაჭიმულ სათბურს გვათვალიერებინებს. აქ 7 სახეობის სალათი მოჰყავთ. _ ივივე პერიოდი სჭირდება კიტრსაც, რომელიც 16 ათას კვადრატულ მეტრზეა გაშენებული და 3 სექციადაა დაყოფილი. პროდუქტი მხოლოდ საქართველოსთვის იწარმოება და უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის. როგორც ბატონი დავითი ამბობს, აქ ყველაფერი ევროსტანდარტებზეა გათვლილი და ბოსტნეულსაც ირიგაციის სისტემით მისთვის აუცილებელი დანამატები მიეწოდება. რაც შეეხება იასამნისფრად შეღებილ ცას, ბევრი რომ დააფიქრა სამტრედიაში, ეს იმიტომ, რომ სალათებს დღის ხანგრძლივობას ხელოვნურად უზრდიან, რაც ასე აუცილებელია მისთვის. მეურნეობაში ბატონ დირკთან ერთად ყოველთვის იმყოფება უკრაინაში "ვალიცია გრინერის" კომერციული დირექტორი, ჰოლანდიელი მაიკ ჰონდერსი და მთავარი მებაღე დიკ დე ჯონგი.

2 წელი ცხოვრობდნენ საქართველოში ბიზნესმენის მეუღლე მარიანა დეგერსს -ალევენი და ვაჟი დაუე, რომელიც 4 წლისაა და ჰოლანდიაში სკოლაში დადის. 1 წლის ამბერი კი საქართველოში დაიბადა და მამამ მეორე სახელი სალომე დაარქვა. ქალბატონი მარიანა პროფესიით ფსიქოლოგია. იგი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. შპს "მოდენ ვოლდის" მოწვევით სამტრედიელ ბავშვებს უცხო ენის დაუფლებაში ეხმარებოდა. ამჟამად მარიანა თავისი სპეციალობით საშშობლოში საქმიანობს.

34 წლის დირკ ალევენი კი საკუთარ თავს ასე გვიხასიათებს: "ახალი გამოწვევები მიყვარს, მიყვარს მოგზაურობა. ერთი კვირის განმავლობაში მე მქონდა შეხვედრები ალმა-ატაში, კიევში, თბილისში და ახლა აქ ვარ _ სულ ვმოძრაობ. მიყვარს, როცა ხალხი მაფასებს. ჩემთვის მთავარია, რაღაც ახალი შევქმნა, მაგალითად, ქართულ-ჰოლანდიური ეს საწარმო, რომელიც აქ გაკეთდა, სიამოვნებას მანიჭებს. არ შემიძლია, რაღაც დავასრულო და გავჩერდე, მიღწეულით დავკმაყოფილდე, არამარტო ბიზნესში, სახლშიც ასე ვარ.

ჰოლანდიელი ბიზნესმენის საქართველოსადმი დამოკიდებულებასა და სხვა დანარჩენზე კი ინტერვიუდან გაიგებთ.

_ **საქართველოში როგორ მოხვდით? თქვენი ბიზნესისათვის რატომ აირჩიეთ ჩვენი ქვეყანა?**

_ ჩვენ პირველად ბიზნესი უკრაინაში დავიწყეთ. მე მქონდა ოცნება, მოტოციკლეტით ჰოლანდიიდან ნეპალში მემოგზაურა. მოგზაურობა მე და ჩემმა მეუღლემ უკრაინიდან, ოდესიდან დავიწყეთ. ჩამოვედით ბათუმში და რამდენიმე დღე ვეძებდი მოტოციკლეტის დასაყენებელ ადგილს. ამ პერიოდში დავუკავშირდი ლევან ბაღდავაძეს, რადგან ჩემმა ჰოლანდიელმა მეგობარმა, რომელიც იცნობდა ლევანს, მირჩია, მისთვის მიმემართა. მოხდა ისე, რომ ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. მან ჩემს მიმართ ნამდვილი ქართული სტუმართმოყვარეობა გამოამჟღავნა. მოტოციკლეტი საქართველოში დავტოვე და ექვსი თვის შემდეგ ისევ დავბრუნდი მის წასაყვანად. იმ მომენტისთვის ჩვენ ბიზნესზეც დავიწყეთ საუბარი.

როგორც ვიცი, ლევანის წინაპრები სამტრედიაში ცხოვრობდნენ. მან მითხრა, რომ სურვილი ჰქონდა, აქ აეშენებინა სასათბურე მეურნეობა, მათ უკვე ჰქონდათ თერმული წყლის მოპოვებაზე ლიცენზია, რაც ჩვენს შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს ყველაფერი 2013 წელს ხდება. მე მას დავპირდი, ჩამოვიდოდი და ჰოლანდიიდან მებაღეს ჩამოვიყვანდი. რადგან უკრაინაშიც ისეთივე ბიზნესი გვაქვს, როგორიც აქ, მებაღეც თავისი დროის 50 პროცენტს უკრაინაში, 50-ს საქართველოში ატარებს. 2014-ში ჰოლანდიის მთავრობამ ბიზნესის დასაფინანსებლად გრანტი მოგვცა. გარკვეული ინვესტიცია ჩვენც გავიღეთ და ჩვენმა ქართველმა პარტნიორებმაც. დავიწყეთ სალათის წარმოება. შემდეგ გავაშენეთ კიტრი. სათბური დაყოფილია სამ სექციად. თითოეულს აქვს თავისი საკუთარი კლიმატის კონტროლი, ვენტილაცია, გათბობა და სარწყავი სისტემა.

პროექტის საინვესტიციო მოცულობა 4,2 მილიონი ევროა. პროექტის პარტნიორია ჰოლანდიური კომპანია Food venture B.V, საპარტნიორო ფონდი, "თიბისი ჯგუფი" და Geozgian Fzesh holding B. V.

_ **ვინც თქვენს სასათბურე მეურნეობას ნახავს, კითხვა აღარ გაუჩნდება, რამდენად კარგად ააწყვეთ საქართველოში ბიზნესი.**

_ დიახ, კმაყოფილი ვარ. მე შემიძლია ერომანეთს შევადარო საქართველო, უკრაინა და ყაზახეთი, სადაც იგივე ბიზნესი გვაქვს. საქართველო ამ მხრივ იდეალურია.

როგორც წესი, ბიზნესის დაწყება იოლი არ არის. ჩვენ ძალიან რთული პერიოდი გავიარეთ. ტექნოლოგია, რითაც ჩვენ ვმუშაობთ უახლესია, თანამედროვეა. თანამშრომლები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, ამ ტექნოლოგიას არ იცნობდნენ. ასეთი სისტემა 1000 კილომეტრის რადიუსში არსად შეგხვდებათ. მაგრამ ჩვენ ეს სირთულეები გადავლახეთ. რეგიონისთვის შედარებით ნაცნობი გახდა ჩვენი ბიზნესი და უკვე მეტ ნდობას ვიმსახურებთ, თუნდაც, ბანკების მხრიდან.

_ **რატომ გადაწყვიტეთ, ინვესტიცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისთვის ჩაგედოთ?**

_ ადამიანებს, მაგალითად, უკრაინაში, სადაც შეიძლება, კარგი ეკონომიკური მდგომარეობა არ არის, თანხებს საკვებში არ ზოგავენ.

_ **ამ მხრივ, ქართველებიც გამორჩეულები არიან.**

_ დიახ, მომგებიანი ბიზნესია, მაგრამ დიდი დრო, ათი წელი მაინც სჭირდება, ჩადებული ინვესტიცია რომ აბრუნო.

_ **იცნობდით საქართველოს აქ ჩამოსვლამდე?**

_ ეს ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის დიდი სიურპრიზი იყო.

_ **კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

_ უპირველესად, რაც შემიძლია ვთქვა და ალბათ, სხვებისგანაც ბევრჯერ გექნებათ მოსმენილი, აქ გარემო, სიტუაცია, ბუნება, კრისტალურია, სუფთაა. ამ ყველაფერმა გაგვიიოლა ჩამოვსულიყავით და საქართველოში გვეცხოვრა.

აღვნიშნავ ასევე, რომ აქაურებს ახასიათებთ მეგობრული, სტუმართმოყვრული დამოკიდებულება, რასაც ისინი ნებისმიერი ადამიანის მიმართ გამოხატავენ. მაგალითად მოგიყვანთ, რომ ჩემს ჩანთაში ახლა ქართველი მეგობრების ორი სახლის გასაღები დევს. ნებისმიერ დროს შემიძლია, უკითხავად შევიდე იქ.

_ **ჰოლანდიაში როგორ ხდება?**

_ ჩვენთან განსხვავებული სიტუაციაა. ერთხელაც, ჰოლანდიაში რომ დავბრუნდი, ჩემს ტელეფონზე უპასუხო ზარი დამხვდა. დავრეკე და აღმოჩნდა, რომ ჩემი მეგობარი მეხმიანებოდა, ნებართვას იღებდა: შეიძლება თუ არა, მოვიდეო. ჩვენთან ასე ხდება. საქართველოში საკმაოდ ბევრი მეგობარი მყავს, მათ შორის, სამტრედიაში, ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი ბორენაა. ვცდილობ, ჩვენი შთაბეჭდილებები, გამოცდილება რაც პოზიტიურია თქვენში, გავუზიაროთ ჩვენს ჰოლანდიელ მეგობრებს.

_ **და რა არის ის, რასაც ქართველებს უწუნებთ?**

_ არადისციპლინებულები არიან, წესების დაცვა არ უყვართ, ქალსა და მამაკაცს შორის არათანასწორობაა. როცა მუშაობ და პასუხისმგებლობა გაკისრია, უნდა გაკეთო. ერთ მამაკაცმა იუკადრისა, აქაურობას არ დაგვიო...

_ **ქართველები დიდი ისტორიისა და კულტურის ხალხი ვართ. თქვენ რამდენად გაქვთ ინფორმაცია ამის შესახებ?**

_ როგორც კი საშუალება მეძლევა, ისტორიულ ადგილებს ვათვალიერებ, ვეცნობი თქვენს წარსულს და ღირსშესანიშნაობებს. ჩემს მეგობრებსაც ვაწვდი ინფორმაციას, თუ რისი ნახვა შეიძლება საქართველოში.

_ **ქართული ენის შესწავლაც ხომ არ გიცდიათ?**

_ არა, მე არა, მაგრამ ჩემი შვილი კარგად ლაპარაკობს ქართულად, საბავშვო ბაღში დადიოდა აქ.

_ **"იუნესკომ" ქართული სუფრა არამატერიალურ ძეგლთა სიაში შეიტანა, გარდა სუფრის წესისა, ქართველები თავს ვიწონებთ ჩვენი კულინარიით. დარწმუნებული ვარ, ხინკალი და ხაჭაპური არც თქვენ გტოვებთ გულგრილს.**

_ დიახ, მომწონს ასევე მწვადი, ჩაშუშული...

_ **ბიზნესის გარდა კიდევ რითი ხართ დაკავებული? თქვენი ჰობი მოტოციკლეტი და...**

_ მოგზაურობაა. ვერ ჩამოვთვლი იმდენ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ძალიან დიდი გამოწვევა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა მოტოციკლეტით ჰოლანდიიდან უკრაინაში ჩავედი, მერე საქართველოში, სომხეთში, ირანში, პაკისტანში, ინდოეთში და თავი ამოვყავი ნეპალში.

_ **ყოფილა შემთხვევა, საქართველო მოგნატრებიათ?**

_ რა თქმა უნდა, ჰოლანდიაში თავს კარგად ვგრძნობთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, საქართველო და სამტრედია არ გვენატრება. აქ სულ სხვა დამოკიდებულებაა, უკრაინასთან სხვა დამოკიდებულება გვაქვს, იქ მხოლოდ ბიზნესვიზიტებით შემოვიფარგლები. ჰოლანდია ჩემი სამშობლოა, იქ, გავიზარდე, იქ არის ჩემი ოჯახი და თქვენს კითხვაზე, მიფიქრია თუ არა საქართველოში დარჩენის შესახებ, გეტყვით, რომ არა, პატრიოტი ვარ. (იცინის).

_ **ბოლოს მინდა გკითხოთ, სამკურნალო თვალსაზრისით თერმული წყლის გარკვეული რაოდენობის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით შეხვედრაც გქონდათ მაჟორიტარ დეპუტატთან და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. იმედია, სამტრედიელების სასარგებლოდ გადაწყდება ეს საკითხი.**

_ ჯერჯერობით საბოლოოდ არ შევთანხმებულვართ. ცალსახაა, რომ ჩვენ ლიცენზია გვაქვს წყალზე. მინდა, ყველამ გაიგოს, ეს წყალი რომ არ ყოფილიყო, აქ არ ვიქნებოდით. წყალი, რომელიც აქ ამოდის, ჩვენთვის საკმარისი არ არის და დამატებით გაზს ვიყენებთ. გასულ თვეში კოლოსალური თანხა გადავიხადეთ.

მე შევთავაზე მათ, ტექნოლოგიურად თუ როგორ გამოიყენოს თერმული წყალი ორივე მხარემ, არ არის მარტივი თემა, ვუთხრა მათ, რომ მე მოგცემთ რამდენიმე კუბმეტრ წყალს. ამისთვის სისტემა უნდა გარდაიქმნას, რაც თანხებთანაა დაკავშირებული. მაქსიმალურად ვცდილობ, ყველაფერი გავაკეთო ამისთვის, მაგრამ, პირველ რიგში, მე აქ იმისთვის ვარ, კომპანია ვამუშაო. ამ ბიზნესის გასაღები ზუსტად ეს თერმული წყალია.

ჩემი პოზიცია არის, რომ წყალი მივცე კურორტს, მაგრამ ამას სჭირდება ტექნიკური გადაიარაღება, ეს უნდა გაკეთდეს წესისამებრ. უკრაინასა და ყაზახეთში არ არის თერმული წყლები, მაგრამ გაზის ტარიფია დაბალი და მას მოვიხმართ.

პროკურატურა საზოგადოებრივად აქტიურობს

თეა ბაბუნაშვილი

ბოლო ნომრებში მკითხველი საქართველოს მთავარი პროკურატურის ეგიდით განხორციელებული პროექტის "საზოგადოებრივი პროკურატურა", აქტიურად მიმდინარეობაზე ინტენსიურად დაბეჭდილ მასალებს კითხულობს. მისი პირველი ეტაპი საჯარო სკოლების მოსწავლეებთან აქტუალურ თემებზე გამოხმაურებას გულისხმობს. გარდა იმისა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლასთან ჰქონდა შეხვედრა, რაიონული პროკურორი მალხაზ გეწაძე ვანელ, ხონელ და სამტრედიელ უფროსკლასელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში გამართულ გაერთიანებულ შეხვედრაზეც ესაუბრა.

ესაუბრა იმაზე, რაც არაერთი წელია, და ბოლო დროს გაცხარებულადაც, მწვავე კამათის საბაბია. ნარკომანია მისი გამომწვევი და თანამდევი პრობლემებითა და შედეგებით, იმ შეხვედრის მთავარი მიზეზი გახლდათ. და ეს ყველაფერი ანტინარკოტიკული კვირეულის ფარგლებში, რომლის მოწყობის ინიციატორი საქართველოს მთავარი პროკურატურაა. კვლევის პრეზენტაცია საუნივერსიტეტო ქალაქებსა და იმ რაიონების სამოქმედო ტერიტორიებზე ჩატარდა, რომლებიც პროექტში არიან ჩართულნი.

საუბრის თემა გახლდათ, თუ რა არის ნარკოტიკი და ნარკოდანაშაული, რა შედეგი მოსდევს მის მიღებას ან რეალიზაციას. მოკლედ გაეცნენ სასჯელის ზომებს, რომელიც გამოიყენება ნარკოდანაშაულთან მიმართებაში. მოსწავლეებს რაიონულმა პროკურორმა, გააცნო კვლევა, რომლის მონაცემები საქართველოს პროკურატურისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კვლევის შედეგებს ეყრდნობა. გამოკითხვა საქართველოს 10 რეგიონს მოიცავდა. იგი იმ პრობაციონერებზე დაყრდნობით ჩატარდა, დღესდღეისობით პირობით მსჯავრს რომ იხდიან და პრობაციის ბიუროებთან აქვთ ურთიერთობა. შედეგები საინტერესო გახლდათ. აღმოჩნდა, რომ ასაკის, როცა ნარკოტიკი პირველად მოიხმარეს, უმდაბლესი ზღვარი 10, ხოლო უმაღლესი 56 წელია, რაც უდავოდ ძალიან საკვირველი და აღმაშფოთებელია.

"კვლევამ დაგვანახა, მიუხედავად იმისა, ნარკოტიკით დაინტერესების ასაკი ძირითადად თინეიჯერობის, გარდატეხის წლებია, იგი იმდენად ცუდი რამეა, გაწონასწორებული და ცხოვრებაში ჩახედული ადამიანიც კი შეიძლება აცდუნოს." _ ამბობს მალხაზ გეწაზე. აღმოჩნდა, და ეს მოსალოდნელიც იყო, 18-24 მისი მოხმარების მასობრივად გავრცელებული ასაკია. ყველაზე ხშირად მას მაინც 18 წლის ახალგაზრდები იღებენ. როგორც პროკურორი აღნიშნავს, შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებს სწორი დამოკიდებულება აქვთ ნარკოტიკისა და მისი მავნებლობის შესახებ. სამართალდამცავების პროფესიული ჩვევის, ერთი შეხედვითვე ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის გათვალისწინებით, პროკურორის მტკიცება, რომ ისინი გულწრფელები იყვნენ, ნარკოტიკული თრობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამომჟღავნებისას, იმედისმომცემია. "პროექტის ფარგლებში არაერთხელ შევხვდი ახალგაზრდებს და ყველგან ვამბობ, რომ ეს არ არის გაკვეთილი, ვისაც არ აინტერესებს, ნუ დაესწრება. მიუხედავად ამისა, მოსწავლეები არათუ ბოლომდე ესწრებიან, საუბარშიც ერთვებიან. ბუნებრივია, მათთვის ამგვარად თავისუფალ ფორმატში ურთიერთობა უფრო მისაღებია, ამიტომაც გვაქვს მათი გულწრფელობის იმედი. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ნიშანია მათი გულწრფელობისა. ამგვარი გახსნილობა სამართალდამცავებთან, არის პროექტის "საზოგადოებრივი პროკურატურა" ძირითადი მიზანი."

გულუბრყვილობაა პროკურორს ჰკითხო, თუნდაც, გარდატეხის პერიოდში, თავად თუ გაუსინჯავს, მსუბუქი ნარკოტიკი მაინც, ამიტომ კითხვას სხვაგვარი ფორმა მოვუძებნეთ და მისი თინეიჯერობის ასაკის ახალგაზრდების დამოკიდებულებაზე ვკითხეთ ნარკოტიკებთან მიმართებაში. "დაინტერესება და წვდომა ჩემი თინეიჯერობის ასაკის ახალგაზრდებს გაცილებით მეტი ჰქონდათ ამ ნივთიერებებთან. ეს 90-იანი წლები გახლდათ და მაშინ, დაწყებული ტანჯიდან, მარიხუანით დამთავრებული, ყველაფრის შოვნა აუკრძალავად შეგეძლო. ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ზოგადად კრიმინალი გააქტიურებული გახლდათ. არათუ მარიხუანასთან, ნებისმიერ ნარკოტიკთან წვდომა ძალიან ადვილი იყო. დღეს ყველაზე რთული სიტუაცია გვაქვს მარიხუანასთან მიმართებაში. სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკის მოხმარების ფაქტებმა მნიშვნელოვნად იკლო. ავრეთვე საკმაოდ გავრცელებულია კუსტარული ნარკოტიკი, რომელიც ადვილად დასამზადებელია. იგი ძალიან მოკლე დროში იძლევა ფატალური შედეგს. ეს ახალგაზრდებს განსაკუთრებით მძაფრად უნდა დავანახოთ. ვცდილობთ კიდეც ამას." _ ამბობს მალხაზ გეწაძე. სტატისტიკურად, პირველად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერება გამოკითხულთა 51%-ში სწორედ კანაფია. რაც შემდეგ სხვა, გაცილებით მძიმე ნარკოტიკზე გადასვლის წინაპირობაა. გამოკითხულების თითქმის 60% აცხადებს, რომ პირველადი მოხმარების საბაბი ინტერესი და გართობაა.

კვლევით უფროსკლასელების დაინტერესება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ შეხვედრამ რამდენიმე საათი გასტანა. როგორც აღნიშნეს, "საზოგადოებრივი პროკურატურის" ეგიდით მსგავს თემებზე საუბარს კვლავ დაელოდებიან.

ყველაფერი საზოგადოებრივი პროკურატურა

თეა ბაბუნაშვილი

ისევ სააქტო დარბაზი, თუმცა არა მხოლოდ მასპინძელი მეთერთმეტე, ქალაქის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეებით. იმ პროექტის ფარგლებში, რომელზეც ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობთ და რომლითაც საქართველოს მთავარი პროკურატურა აქტიურობს, თემების კონკურსი გაიმართა. ბუნებრივია, მათი შინაარსი სამართალდარღვევათა კონტექსტში განსახილველი, კანონიერებითა და უკანონობით "დაინტერესებული" უნდა ყოფილიყო. მოსწავლეებისთვის შეთავაზებული თემები: "ახალგაზრდობა უდანაკარგოდ", "ნარკომანია, ავადმყოფობა თუ დანაშაული" და "ახალგაზრდობა და დანაშაული" გახლდათ. "ამ შემთხვევაში ერთგვარად დავაბალანსეთ სამოქმედო არეალი. გარკვეული საკითხებით მოზარდების დაინტერესება თემებად შეკრული მათი მოსაზრებებითა და დამოკიდებულებით შემოვფარგლეთ. ვიდეორგოლების, სლაიდებისა და სხვა თვალსაჩინოებების საშუალებებით, მოსწავლეებმა საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს." _ აღნიშნა რაიონულმა პროკურორმა, მალხაზ გეწაძემ. ნამუშევრები, არაერთი კრიტერიუმით შეფასდა. ისინი კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა, რომელიც პროფესიონალებით გახლდათ დაკომპლექტებული. მას მალხაზ გეწაძე ხელმძღვანელობდა. წევრები, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე, სამართალდამცავი მარიამ მაჭარაძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, ელიზა ცხვირავაშვილი წარმოადგენდნენ. 23 ნამუშევრიდან საუკეთესოები გამოარჩიეს. გამოვლინდა 8 მოსწავლე, რომელთა თემებიც განსაკუთრებულად მოეწონათ. საპრიზო ადგილები სამ მოსწავლეს ერგო, პირველი _ მეცხრე საჯარო სკოლის მოსწავლეს, გალაქტიონ ფახურიძეს თემისთვის "ახალგაზრდობა უდანაკარგოდ"; მეორე _ მეოთხესკოლელ თამუნა ჯინჭველეიშვილს თემისთვის "ახალგაზრდობა და დანაშაული"; ხოლო მესამე _ მერვე საჯარო სკოლის მოსწავლეს, მარიამ კუბლაშვილს თემისთვის, "ნარკომანია ავადმყოფობა თუ დანაშაული". დარბაზის სიმპათია მეათე საჯარო სკოლის მოსწავლემ, ხატია სიხარულიძემ დაიმსახურა თემით "ახალგაზრდობა და დანაშაული." სხვადასხვა ნომინაციაში გაიმარჯვეს: ბაია თოდუამ, მე-3 საჯარო სკოლიდან, მარიამ თევზაძემ, მე-11 საჯარო სკოლიდან, ანი შანიძემ, მე-6 საჯარო სკოლიდან, ავთანდილ ვაშაკიძემ, ეწრის საჯარო სკოლიდან, საბა სანიკიძემ, ოფეთის მე-2 საჯარო სკოლიდან, ნინო დანელიამ, ღანირის საჯარო სკოლიდან.

"წარმოჩნდა მნიშვნელოვანი რამ, ბავშვებმა დასახეს პრობლემა და ისაუბრეს გადაჭრის მისეულ გზებზე. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ამ პროექტისა, იმის გარდა, რომ ახალგაზრდობა თანდათან ინფორმირებული ხდება, რა არის კანონიერი და რა უკანონო". _ ხაზს უსვამს რაიონული პროკურორი.

საპრიზო ადგილის მფლობელები ძვირადღირებული ლიტერატურით, პირველი ადგილის მფლობელი კი "ბიბლუსის" 50 ლარიანი ვაუჩერით დაჯილდოვდა. სიგელები და წიგნები გადაეცათ პროექტის სხვა მონაწილეებს.

სამომავლოდ, ამ ბავშვების ჩართულობა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ინტენსიური გახდება. ახლო მომავალში ადგილობრივი პროკურატურის ინიცირებით კიდევ ერთი პროექტი განხორციელდება, რომელიც სატრანსპორტო დანაშაულის აღმოფხვრისკენ იქნება მიმართული.

მუნიციპალიტეტის პროფესიით იურისტი გამგებელი ამგვარ პროექტებში ახალგაზრდების მონაწილეობას მიესალმება და აღნიშნავს: "პროკურატურის იდეა კარგი და დროულია. წარმოდგენილ ნამუშევრებში იმგვარად იკვეთება პრობლემებისადმი მიდგომა, პროფესიონალებიც რომ არ დაიწუნებენ. ძნელი აღმოჩნდა ჟიურისთვის ადგილების გადანაწილება და საუკეთესოების გამოვლენა, ყველანი კარგები იყვნენ."

"ამ ბავშვებმა უკვე იციან, რა არის დანაშაული, რა შეიძლება მოქმედებით თუ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულს მოჰყვეს. დაინახეს, რომ პროკურატურაც არ ყოფილა მხოლოდ სამიში ორგანიზაცია. ცალ-ცალკე ვერც ოჯახი, ვერც საზოგადოება, ვერც სკოლა ვერაფერს შეძლებს. ერთობლივად კი რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას კარგ გზაზე დავაყენებთ და ცუდს ავაცდენთ. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, კანონი უნდა იყოს მკაცრი, ხოლო ადამიანები ლმობიერებიო. რა თქმა უნდა, ვეთანხმები და განსაკუთრებით კარგია, ეს ახალგაზრდებმაც რომ გაითავისეს." _ განაცხადა მანანა სირბილაძემ.

პროექტის კიდევ ერთი ეტაპი დასრულდა, თუმცა, ისეთი პირი უჩანს, "საზოგადოებრივ პროკურატურაზე" ჩვენ ისევ მოგიყვებით.

რამდენიმე დღის წინ სამტრედიის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის რევაზ კანდელაკისა და ალექსანდრე ბანძავას სახელზე ინფორმაცია მოვიდა.

რუსეთში აღმოჩენილია და დამარხული მე-2 მსოფლიო ომის მეომრების ნეშტები, მათ შორის:

ტარიელ დავითის-ძე მიქელაძე, 1920 წელს დაბადებული, გაწვეული სამტრედიის რაიკომისარიატის მიერ.

პეტრე ივანეს-ძე ცქიტიშვილი 1911 წელს დაბადებული, ომამდე ცხოვრობდა მამა ივანეს მოსეს-ძე ცქიტიშვილთან ერთად სოფ. ბაშში (კოპიტნარი).

გთხოვთ, მოიძიოთ დაღუპულთა მეომრების ნათესავები. დადებით შემთხვევაში გაარკვიეთ მათი მოსაზრება მეომრების სამარხთან დაკავშირებით და შეგვატყობინეთ.

თ. ლ[illegible]
საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-მაიორი

ომი ახ შეიძლება მხოლოდ ჰომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ იყოს მიმართული

ნინო ნანიტაშვილი

პრემიერის დაწყებამდე 3-4 წუთია დარჩენილი. ლორიტა ჯორჯიკია იწვევს ყველას, მონაწილე მსახიობიდან დაწყებული ტექნიკური პერსონალით დამთავრებული. ასეთი ჩვეკა აქვთ, აკეთებენ წრეს, შუაგულში რეჟისორი წინ წევს ხელს, ყველა მსახიობი მის ხელს თავისას ადებს, იკვრება წრე და ენერგიას ერთმანეთს უნაწილებენ.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე 4 აპრილს თეატრალური დასი მაყურებელს "რექვიემს" წარმოუდგენს. რეჟისორმა ლორიტა ჯორჯიკიამ "ანე ფრანკის" დღიურის მიხედვით დადგა სპექტაკლი, რომლის სცენური ვერსიის ავტორი თავად გახლავთ.

ერთმოქმედებიან წარმოდგენაში 14 მონაწილეა დაკავებული: ადგილობრივი დასის წევრები, თეატრის კედლებში გაზრდილი ახალგაზრდები, ერთი დებიუტანტი.

ებრაელი გოგონას, 14 წლის ანეს ტრაგიკული ისტორია სამტრედიის თეატრში პირველად გაცოცხლდა. საკმაოდ მძიმე სიუჟეტი დამდგმელმა რეჟისორმა იმ მიზნით შეარჩია, რომ ადამიანებისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, რა მოაქვს ომს, მტრობას და სიძულვილს ერებს შორის: "რატომღაც საზოგადოებას ძალიან მალე ავიწყდება, რა შედეგი მოაქვს მტრობას, 2008 წლის ამბები იმის დადასტურებაა, რომ ვიღაცეებს დავიწყდათ 1941-1945 წლების სამამულო ომი. თვითონ ანე ძალიან ღრმად მოაზროვნე გოგონაა. ნაწარმოები კი მიუთითებს იმას, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნების ხარ, სიცოცხლის უფლება ყველას აქვს დედამიწაზე. თუკი ვინმე ვინმეს სიცოცხლეს ეხება, ეს უკვე იგივე ფაშიზმია".

სპექტაკლზე ინტენსიური მუშაობა 2016 წლის შემოდგომაზე დაიწყეს. ცდილობდნენ, რაც შეიძლება ღრმად შეესწავლათ ყველა პერსონაჟის ისტორია. ნამდვილი ამბის რეალური გმირების ცხოვრების სცენაზე ზედმიწევნით გადმოტანა უნდოდათ.

"ამას დასჭირდა დრო, რომ ყველა მონაწილეს გაეთავისებინა და საკუთარ თავზე ეგრძნო ის საშინელება, რაც ანეს, მარგოს, დიუსელს, ვანდაანებს გადახდათ თავს. ძალიან მინდოდა მეჩვენებინა ისიც, რომ ომი არ შეიძლება რომელიმე ერის წინააღმდეგ იყოს მიმართული. თავისივე მოქალაქეებსაც სწირავენ ისინი მათ ამბიციებს. სამი გერმანელი ბავშვი მათხოვრად სწორედ გერმანიის ომმა აქცია. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აგრესორ ქვეყანაში ყოველთვის მოიძებნებიან კეთილსინდისიერი ადამიანები, როგორიც იყო გერმანელი კუგლერი. ამ უკანასკნელმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო ებრაელი მეგობრების გადასარჩენად". _ დასძენს სპექტაკლის რეჟისორი ლორიტა ჯორჯიკია.

სპექტაკლის ზეამოცანა იყო, მაყურებლამდე მიეტანა ის, რომ უმძიმეს პირობებში ადამიანები არ მიდიან კომპრომისზე, რწმენას და პრინციპებს არ ღალატობენ, რასაც რეჟისორმა მსახიობებთან ერთად მიაღწია კიდეც.

"ისტორიული ფაქტია, რომ ბევრი ებრაელი გადავიდა ფაშიზმის მხარეზე და თავისი ერის წინააღმდეგ იბრძოლა. ჩემმა მსახიობებმა სრულად გაართვეს თავი იმ ამოცანას, რაც პიესის დასაწყისშივე იყო ჩადებული". _ ამბობს ლორიტა ჯორჯიკია.

არ შეიძლება, არ გამოიკვეთოს სამი პერსონაჟი, რომლებმაც ღრმად მიიტანეს მაყურებლამდე თავისივე ქვეყნის მიერ გაჩაღებული ომის შედეგად უპატრონოდ დარჩენილი გერმანელი ბავშვების ხვედრი. შეუძლებელი იყო ნაგავში ნატეხი პურისა და დაკარგული დედების სასოწარკვეთილი ხმით მაძიებელი ბავშვების ყურება. მარი და გიორგი გაგუებმა, დავით გალდავამ თავიანთ როლებს დიდი მსახიობებივით გაართვეს თავი.

დებიუტანტი იყო დიმა ახალაძე, თუმცა გერმანელი კუგლერის როლისათვის ზედგამოჭრილი იყო თავისი გარეგნობით.

მსახიობი გია სტურუა ლორიტა ჯორჯიკიას სპექტაკლების მუდმივი გმირია. მას ყოველთვის უხარია ახალგაზრდა შემსრულებლებთან ერთად სცენაზე დგომა. გია სტურუა ცოცხალი წიგნია მომავალი თეატრალებისათვის. მან სიამოვნებით შეასრულა გერმანელი მუშის უსახელო ეპიზოდური როლი კლიმენტი ხვიჩიასთან ერთად.

ვიქტორია ცერცვაძე სამტრედიელი მაყურებლისთვის ცნობილი პერსონაჟია. მან თავის დროზე ბურატინოს დაუვიწყარი როლი შეასრულა. სპექტაკლში მარგო ბეტი ფრანკის როლი ითამაშა.

ანეს და მარგოს დედა განასახიერა პროფესიით მუსიკოსმა, მარინე რცხილაძემ. მამა-ოტო ფრანკი გურამ კურეტიშვილი გახლდათ, რომელიც სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ისე იზრდება, რომ თვით რეჟისორსაც აკვირვებს: "ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე ბიჭია. საკმაოდ კარგად გაართვა როლს თავი. მთელი ტრაგიზმით გადმოსცა არა მარტო ფრანკების ოჯახის, არამედ ზოგადად, ომის შედეგად მოტანილი უბედურების სიმძაფრე".

პეტერ ვანდაანის როლზე რეჟისორს ორი შემსრულებელი ჰყავდა აყვანილი _ გიორგი ახობაძე და ნიკა ფხიკიძე. 4 და 5 აპრილს გამართულ სპექტაკლებზე თავისი გულწრფელობით ამ ახალგაზრდა შემსრულებლებმა მაყურებელს დიდი ხნით დაამახსოვრეს თავი.

პეტრონელა ვანდაანი თეატრის მსახიობმა მაია ამაღლობელმა საკმაოდ პლასტიკური, სახასიათო გმირის სახით განასახიერა.

უფროსი ვანდაანი _ ჰენრიხის, იგივე ზაზა ახობაძის სცენაზე გამოჩენას მაყურებლის მხრიდან დადებითი ემოცია მოჰყვებოდა. იგი გვაოცებდა ლაღი იუმორით, პირდაპირობით, ხანდახან უხეშობითაც სხვენის მობინადრეების მიმართ. მან სპექტაკლში საკმაოდ მართალი ებრაელი გმირის სახე შექმნა.

განუმეორებელი, მგრძნობიარე, უტექსტო სცენების დიდოსტატი იყო რადი შენგელია "რექვიემში". ალბერტ დიუსელის, სხვენზე ეულად დარჩენილი კაცის ტრაგიკული ისტორია პროფესიონალმა მსახიობმა მაყურებლის გულის სიღრმემდე მიიტანა. სცენაზე დაღვრილი ყოველი ცრემლი იმდენად ღრმად იყო გაჯერებული გრძნობებით, რადი შენგელიამ ყველა მაყურებლის სულის შეძვრა შეძლო.

14 წლის ნინო ბაღდავაძემ ებრაელი, თავისივე თანატოლი გოგონას ჩაეტიელ სივრცეში 2 წლიანი ცხოვრება ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრის სცენაზე მთელი სიმძაფრით გადმოსცა.

რეჟისორის მიერ დასმული ამოცანის შესრულება მთავარმა გმირმა შეძლო. ანე სავსე იყო სცენაზე ბავშვური სიცელქით, იუმორით, სიყვარულით და სისასტიკით, რომლის მსხვერპლი დედა იყო. იმდენად მართლად შეძლო ნინო ბაღდავაძემ ანეს თამაში, რომ მაყურებელმა მთელი სისავსით დაინახა ჩვეულებრივი მშობლებისა და შვილების დაძაბული ურთიერთობა გარდატეხის ასაკში. და მაინც მთავარი ის იყო, რომ ნინო ბაღდავაძის გმირი მძაფრად აღიქვამდა მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, გააჩნდა საკუთარი არაბავშვური მსოფლმხედველობა.

სპექტაკლი შედგა, მაყურებელი ტაშს უკრავდა, ტიროდა და მადლობას უხდიდა მსახიობებს, რეჟისორს, ლორიტა ჯორჯიკიას, რომელმაც სპექტაკლის ბოლოს სცენიდან მადლობა გადაუხადა ქორეოგრაფს, გიორგი კეშელავას, მხატვარს, ნანა რუხაძეს, კომპოზიტორს, მზია ჯინჭველაშვილს, მუსიკალურ გამფორმებელს, ემიმა ჯორჯიკიას, სინათლის ოპერატორს გელა ნამიჭეიშვილს, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დებიუტანტ მუსიკალურ წამყვანს, მერაბ ლორიას.

"მე რიმ რომ ენაზე მიანარია, მე რიმ რომ ენაზე ვტირი"

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა "დედა ენის" დღეს მისთვის უკვე ტრადიციადქცეული, ლამაზი ღონისძიებით გამოეხმაურა. საინტერესო საღამოები ამ მყუდრო, სალონურ სივრცეში, კარგა ხანია იკრებს კულტურულ საზოგადოებას. ბიბლიოთეკის დირექტორი, ლამარა დუნდუა შეკრებილთ მიესალმა და აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ტრადიციულად ეხმიანება ყოველ მნიშვნელოვან და აქტუალურ თარიღს ჩვენი ერის ცხოვრებაში. შემდეგ სიტყვა მომხსენებელს, ჩვენს კოლეგას, ლევან გაბეჩავას გადასცა.

გამომსვლელმა შეკრებილთ ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საუკუნოვანი იუბილე მიულოცა, გვერდი ვერ აუარა საქართველოს ისტორიის ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს _ 1989 წლის 9 აპრილს და 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენას. შემდეგ ენის უდიდეს მნიშვნელობაზე ისაუბრა. აღნიშნა, როგორ ზრუნავდნენ ჩვენი დიდი წინაპრები ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე მშობლიურ ენაზე. დანანებით თქვა, თუ წინათ ტელეეთერიდან თამაზ კვაჭანტირაძის გემოვნებიანი და ღრმადშინაარსიანი ლექციები ისმოდა, დღეს ისინი თურქულმა სერიალებმა ჩაანაცვლესო. აღნიშნა ისიც, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთი საუკეთესო ფილოლოგი: აკაკი ჯამბურია, ნონა ნაცვლიშვილი, იზოლდა ლორია, ვალერიანე მეგრელიშვილი, შესანიშნავი ექიმი გენო გეგეშიძე წერდნენ სტატიებს მშობლიური ენის დაცვაზე. გამომსვლელმა განსაკუთრებულად 1978 წლის 14 აპრილის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა: "ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველო მორიგ კონსტიტუციას რომ ღებულობდა, მოსკოვიდან მოვიდა დირექტივა, კონსტიტუციაში ჩაწერილიყო: საქართველოს სახელმწიფო ენა არის რუსული. ამას მოჰყვა სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების საპროტესტო აქციები, რის გამოც მოსკოვმა უკან დაიხია. ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი მეორე მდივანი, გენადი კოლბინი თურმე ქართული კულტურისადმი ისე კეთილად იყო განწყობილი, უთქვამს, ეს ენა იმსახურებს სახელმწიფო ენად დარჩენასო. არა გვაქვს ილუზია, ენის წინაშე არსებული ყველა პრობლემა ერთი ღონისძიებით აღმოვფხვრათ, უკვე ევროპაში უვიზოდ ვმოგზაურობთ, ნიკო ნიკოლაძე გვაფრთხილებდა, ჩვენში შემოვა ევროპა და ზომიერებაა საჭიროო. ჩვენ მაქსიმალისტები ვართ, იმწამსვე ავიტაცებთ ყველაფერს, ნოემბერში აღნიშნეთ "ჩახუტების საერთაშორისო დღე" და რად გვინდა ისეთი ჩახუტება, დილას ჩამეხუტო და საღამოს დამახრჩო, დეპუტატები ერთმანეთს პარლამენტის სხდომაზე შეებნენ.."

მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ფოლკლორული განყოფილების ანსამბლმა "ჩანგი" (ხელმძღვანელი მერი ტკვაცირია) განსაკუთრებულად გაალამაზა საღამო. ქართველ პოეტთა შესანიშნავი ლექსების მხატვრულად წაკითხვის გამო უამრავი აპლოდისმენტი დაიმსახურეს მოსწავლეებმა. ღონისძიების სამზადისში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი რუსუდან კახიანი, ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების გამგე იზაბელა ლეგაშვილი და ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძე. მან ვასილ ბარნოვის საინტერესო მოგონებები წაიკითხა იაკობ გოგებაშვილზე. 1978 წლის 14 აპრილის საპროტესტო აქციის მონაწილეა სამტრედიელთათვის უკვე კარგად ნაცნობი, ხონის მკვიდრი, პოეტი აკაკი რუხაძე, რომელმაც ის მღელვარე დღე დიდი ემოციით გაიხსენა და შემდეგ ენისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსიც წაიკითხა. თავისი პოეტური კრებული ავტორმა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა გიორგი ლეჟავამ და ბადრი შენგელიამ მადლობა გადაუხადეს საინტერესო ღონისძიების ინიციატორებსა და მონაწილეებს და წარმატებები უსურვეს მათ. თავის გამოსვლაში ბატონმა გიგანტი ბიბილეიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ცენტრალურ ქუჩებს აუშნოვებს სარეკლამო თუ სხვა სახის აბრები წარწერებით უცხო ენებზე. მან ასევე გამოთქვა წუხილი იმის გამოც, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის არც ერთი პედაგოგი ამ ღონისძიებას არ ესწრებოდა.

ქართული ფოლკლორიდან გადმოსული ქართველი

ქეთევან ჭელიძე

იშვიათად, ვინმეს ისე უყვარდეს თავისი ქვეყანა, ისეთი განცდით გამოხატავდეს ამას, როგორც ის გამოხატავდა. თვითონაც ერთი დიდი სიყვარული იყო, გამოჩენისთანავე რომ შეეყარა საქართველოს. ლაღი, ალალი, გულიანი, ბუმბერაზი თავისი სისადავითა და ანდამატით _ ასეთი იყო ზურაბ ქაფიანიძე, საქართველოს სახალხო არტისტი და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული კინოსა და თეატრის უბერებელი ნიჭიერება.

1 აპრილს 80 წელი შეუსრულდებოდა ბატონ ზურაბს. გვინდოდა, განსაკუთრებით აღგვენიშნა ეს თარიღი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მიგველოცა მისთვის, ოღონდ უმისოდ.

წლების წინ სანდრო ახმეტელის თეატრის მსახიობებთან ერთად რედაქციაში მოულოდნელად გვასტუმრა იგი ზვიად ვაშაკიძემ. შეგვიყვარა და კიდევ უფრო შევიყვარეთ. ეს წერილიც ბატივისცემითა და მისი აძქვეყნიური არყოფნის სინანულით იწერება. და სიამაყით, ზურაბ ქაფიანიძისნაირი მამულიშვილების ზიარი ქვეყანა რომ გვერგო წილად. მისი წიგნიც "ასეთი იყო ჩემი საქართველო" სიყვარულის ენაზეა დაწერილი. როგორც მისი რედაქტორი ელდარ ნადირაძე აღნიშნავს, იგი "ზურაბ ქაფიანიძის შემოქმედების მხოლოდ ერთი ნაწილია, მას ჰქონდა მოთხოვნილება წერისა. წერდა კარვად, გულწრფელად, ხატოვნად, საინტერესოდ". წიგნი მართლაც სულმოუთქმელად იკითხება და პირუთვნელ შოაბეჭდილებებში გხვევს.

ზურაბ ქაფიანიძე 1937 წლის 1 აპრილს დაიბადა რაჭაში, სოფელ ნაკეთში. მისი განმარტებით: "1-2 აპრილს, ღამე, დილასთან ახლოს _ გათენებისას. რაკი მგზავრობა დედიდან ქვეყნიერებისაკენ პირველში დავიწყე, დაბადების დღედაც პირველი მივიჩნიე...

გავჩნდი დილასთან ახლოს და ჩემი ცხოვრება სამშობლოთიც, საქმითაც სულ დილასთან ვიყავი ახლოს _ არა და არ იქნა, კაცობაში შესულს არ დამთენებია თავზე, როგორც იმ პატარა ზურიას, გაჩენისთანავე დილა რომ დაადგა თავზე და მზეც იქვე გამოეცხადა."

სირთულეების მიუხედავად, ხალხის სიყვარულით გარემოცული კინოსა თუ თეატრში უკვდავ სახეებს ჰქმნიდა. მისი მიხა, აპარეკა, ზვიადაური, სიმონა, ცანგალა, ბერდია, ივანე კოტორაშვილი და სხვები საკუთარი ერის, ტრადიციების, სამშობლოს სიყვარულის საუკეთესო მაგალითებია. "ქართული ფოლკლორიდან გადმოსული ქართველი" _ ასეთი იყო იგი რეჟისორ ანდრეი ტარკოვსკისთვის.

არა მარტო ხელოვნებაში, თავისი სიტყვა მან მეცნიერებაშიც თქვა. ქართული ენის მასწავლებელს ანიკო ქურდაძეს უმადლიდა შუმერული ცივილიზაციით დაინტერესებას. "ერთხელ, არ ვიცი, რა კითხვას მოაყოლა, როცა ქართულზე ვლაპარაკობდით, ასო-ნიშანს შინაარსი აქვსო, მე ხმამაღლა გამეცინა... დიახ, ასომთავრულის ასო-ნიშნებს შინაარსი აქვთო! მე მერხზე დავდე თავი და კიდევ გამეცინა... ასოში რა შინაარსი უნდა იყოს, ასო ასოა, უნდა დაწერო და წაიკითხო... ინტერესიანი ვიყავი, ამეკვიატა, სად წერია-მეთქი? _ ივანე ჯავახიშვილის წიგნშიო. რა იცოდა მაშინ ჩემმა ქართულის მასწავლებელმა, რომ ეს აკვიატება მთელი ცხოვრება გამყვებოდა და ანბანურ შინაარსს მე წავიკითხავდი ბატონ ივანე ჯავახიშვილის და რამაზ პატარიძის შემდეგ და დავარქმევდი კაცობრიობის პირველ ანბანს _ "შუმერულ-ქართულ ასომთავრულს" და გავიგებდი იმ უზარმაზარ შინაარსს, რაც ჩვენს ანბანშია დაფარული, თითოეულ ასო-ნიშანში". _ იგონებს იგი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან კი მან უძველესი აღმოსავლეთის ცივილიზაციათა მსოფლიო ანბანური კვლევის სამეცნიერო ცენტრი "შუმერი" დაარსა. გამოსცა აგრეთვე სამეცნიერო გაზეთი "შუმერი".

აკაკი ხორავას შვილობილი, აკაკი ვასაძის მიერ განებივრებული ახალგაზრდა მსახიობი, სესილია თაყაიშვილის, იპოლიტე ხვიჩიას, ეროსი მანჯგალაძისა და კინოსა თუ თეატრის კიდევ ბევრ ნამდვილ ვარსკვლავებთან (სამწუხაროდ, დღეს ამ სიტყვას ფასი დაუკარგეს) მეგობრობით გალაღებული დააბიჯებდა თავის თბილისში. როგორც თვითონ ამბობდა: "რაჭიდან რომ ჩამოვედი, ულამაზესი და უდიდესი საქართველო დამხვდა. ეს დიდი საქართველო იყო თბილისი, კაშკაშა და ელვარე, ნათურებით კი არა თავისი დიდებული ხალხით. თბილისის ეს ელვარება და სინათლე მთელ დედამიწას სწვდებოდა და ავსებდა. მეც ამ სიმდიდრეში გადავეშვი და დავივანე, როგორც შვილმა დედის უბეში".

ერთხელაც, მეგობარმა თავისი ნათესავი გააცნო და მას შემდეგ ქალბატონი თამარ გაბუნია მისი ცხოვრების ნაწილად იქცა. ორი შვილი შეეძინათ ბერდია და ლელა და ორი შვილიშვილი დავითი და გიორგი მელიქიშვილები ულამაზებდა ცხოვრებას. ჩვენ საშუალება მოგვეცა რამდენიმე კითხვით მიგვემართა ქალბატონი ლელასთვის, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

_ **როგორი მამა იყო ბატონი ზურაბი, მკაცრი თუ ალერსიანი? რა დარიგებებს გაძლევდათ? მისი ბუნებიდან გამომდინარე, ისეთ მაგალითს თუ გაიხსენებთ, შვილებისთვის მამა გმირი რომ გახდება?**

_ მკაცრიც იყო და მომთხოვნიც, მაგრამ მეგობარიც იყო. რაღაცნაირად რიდი გვქონდა. მე და ჩემს ძმას სულ გვარიგებდა _ შეცდომის უფლება არ გაქვთ ჩემს შვილებსო. თუმცა, ერთხელ, ისეთი პასუხი გამცა, ცოტა მეწყინა მაშინ, მაგრამ მერე რომ გავაანალიზე, მივხვდი, რომ მართლაც ასე იყო _"პირველ რიგში სამშობლოა და მერე შვილები"-ო, ეს ჩემთვის გმირობის ტოლფასია.

_ **რამდენად განიჭებდათ უპირატესობას ასეთი სახელოვანი მამის შვილობა? ცდილობდა, დაგხმარებოდათ მიზნის მიღწევაში?**

_ უპირატესობა ისაა, რომ დღემდე უყვართ და ახსოვთ და ყველაზე ძვირფასი ჩემთვის _ ბევრი მადლიერი ადამიანი გვხვდება, სრულიად უცხოები. ჩვენ არანაირი მიღწევა არ გვჭირდებოდა. ძალიან უბრალოდ გაგვზარდა, ჩვენი საქმე გვქონდა და გვახსოვდა, შეცდომის უფლება არ გვქონდა.

_ **ჰქონდა თუ არა სურვილი ტრადიცია გარძელებულიყო, მსახიობები გამხდარიყავით?**

_ ჩემი ძმა პროფესიით მეღვინეა, მაგრამ კულტურის სფეროში მოღვაწეობს და საკმაოდ კარგად. მსახიობობაზე არ გვიოცნებია, თუმცა, რაღაც ფილმებში გადაგვიღეს. ჩვენი სურვილიც არ იყო და თავისთავად განსჯის საგანი არ ყოფილა.

_ **ბატონი ზურაბის ფილმებიდან რომელია თქვენთვის საყვარელი როლი?**

_ ყველა როლი მიყვარს. ივანე კოტორაშვილს მაინც გამოვყოფ.

_ **უყვარდა თუ არა თავისი დაბადების დღე ბატონ ზურაბს და როგორ აღნიშნავდა მას?**

_ თავისი დაბადების დღე უყვარდა. თავის მეგობრებთან ერთად აღნიშნავდა, თუმცა ეს სხვა დღეებშიც ხშირი იყო. წლები მემატება და ჯანი მაკლდებაო, წუხდა. განიცდიდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და შეეწირა კიდეც.

ახალი გასულია მისი იუბილე, ვისარგებლებ და ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს, მთლიანად მის ქვეყანას და მჯერა, მათი წყალობით მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ცნობილი მსახიობი და მამულიშვილი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით ამოუწურავია, ამ წერილს არა აქვს პრეტენზია, რაიმე განსაკუთრებული შემატოს მას. პირველმა აპრილმა მისი თავი კიდევ ერთხელ გაგვახსენა და შევეცადეთ, მადლიერება გამოგვეხატა დიდი ზურაბ ქაფიანიძის მიმართ იმ სიხარულისთვის, სიყვარულისა და განწყობისთვის, "სამტრედიის მაცნეში" უხვად რომ დაგვიტოვა.

დაბეჭდილი ფოტოს კვალდაკვალ

რედაქციაში გვეწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის ვეტერანთა რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ავთანდილ კაშია და გაიხსენა: " როცა სამტრედიას ესტუმრა 90 წლის იუბილარი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, ღირსეული ქართველი, დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკაკი შანიძე, რაიონის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მიერ როგორც მილიციის კაპიტანს, დამევალა ქალაქის ტერიტორიაზე მისი გადაადგილების უსაფრთხოების დაცვა. მეამაყება, რომ დავალება პირნათლად შევასრულე. სადაც კი იმყოფებოდა, თან ვახლდი დიდ მეცნიერს. ბოლოს იგი ქალაქის ქუჩებში ეტლით გადაადგილდებოდა, მას ყველა უდიდესი სიყვარულით და აღფრთოვანებით ხვდებოდა. უზომოდ ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ ამდენი წლის შემდეგ თქვენს გაზეთში დაბეჭდილ ფოტოზე აღმოვაჩინე ჩემი თავი. ეს ფოტო აქამდე არ მენახა. მადლობა თქვენს გაზეთს, ამ სურათის დაბეჭდვით უდიდესი სიხარული მომანიჭეთ თქვენს ერთგულ მკითხველს".

ნათია ნაცვლიშვილი

ვისაც ლიტერატურა უყვარს

მათემატიკოსის ლიტერატური პარიელები

ნათია ნაცვლიშვილი

ჟუჟუ ფოფხაძე ტექნიკური ბეგ-რაუნდის ქალბატონთაგან ის სასიამოვნო გამონაკლისია, მხატვრული ლიტერატურა რომ უყვარს. ეს ის შემთხვევაა, როცა საუკეთესო შვილის, მეუღლის, პროფესიონალის და მზრუნველი დედის ინტეგრალური განტოლებაც ამოხსნილია. ჟუჟუ მათემატიკას ასწავლის მომავალ თაობას და ამასთანავე, ცდილობს, ლიტერატურაც შეაყვაროს, როგორც სულის გაუხუნარი საზრდო.

_ ამბობთ, რომ თქვენი ბავშვობა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკასთან ასოცირდება. მაინც რას ნიშნავს წიგნი თქვენთვის?

_ წიგნი, ეს არის უღალატო მეგობარი, რომელიც რჩევას გვაძლევს ყოველთვის და ისეთ რჩევას, მთელი ცხოვრება რომ გაგვყვება. დღესდღეობით ნაკლებად ვაწყდები, რომ ადამიანი ანალიზით კითხულობდეს. ჩემს ბავშვობაში მამის მეგობრებთან, განათლებულ ადამიანებთან რომ მქონდა ურთიერთობა, ამას ნაკლებად ვაქცევდი ყურადღებას და მეგონა, სახალისოდ დაწერა მაქსიმ გორკიმ ეს სიტყვები: "იკითხე წიგნი, მაგრამ გახსოვდეს, წიგნი რომ მხოლოდ წიგნია მუდამ, მასში გამოთქმულ აზრებს რომ ჩასწვდე, საკუთარ ტვინსაც განძრევა უნდა". დღეს ეს სახალისო აღარ არის, მტკივნეულ თემად გადაიქცა. საზოგადოება უკვე გაცხოებულია წიგნთან. სოციალურმა ქსელმა ჩაყლაპა, მე მგონია, ბავშვების ინტერესი, მაგრამ მეეჭვება, რომ სოციალურმა ქსელმა ანდა რაიმემ გასწიოს იმხელა მეგობრობა, რასაც წიგნი გასწევს და მისცეს ადამიანს ის სიბრძნე, რასაც წიგნი აძლევს.

_ თქვენი ინტერესები როგორ იყოფა? როგორ უნდა გავანაწილოთ წიგნისა და კომპიუტერისათვის დრო?

_ დღეს უფრო არიან გადართულნი კომპიუტერზე, არის კატეგორია, საერთოდ რომ არ ურთიერთობს წიგნთან, კიდევ კარგი, სკოლა რომ არსებობს და სკოლაში მაინც კითხულობენ. პროპორციულად უნდა იყოს განაწილებული დრო. არ მესმის, კომპიუტერში ან პლანშეტში წიგნის წაკითხვა, მე რომ წავიკითხე წიგნი, რაღაც გავხაზე, რაღაც ჩავნიშნე, ის გვერდი ჩავკეცე, ის წიგნი ჩავიხუტე!.. არა მგონია, თვალებისთვისაც სახარბიელო იყოს ამ ტექნიკასთან საათობით ჯდომა. პრობლემა ისიც არის, კითხულობენ და აზრი ვერ გამოაქვთ. ოტია იოსელიანმა ბრძანა გარდაცვალებამდე: ღმერთმა ქნას, ქართველ ხალხს ანალიზის უნარი მიეცესო. გაანალიზებულად, შეგნებით, შემეცნებით უნდა წავიკითხოთ, უნდა გავიგოთ, რატომ დაწერა ის ავტორმა, სად დაინახა პრობლემა, რა უნდოდა ამით ეთქვა...

_ არის ნაწარმოები, რომელმაც შეგძრათ? ან პერსონაჟი, ფრაზა, რომელიც მუდმივად გონებაში გიტრიალებთ?

_ სხვათა შორის, გამორჩეული და საყვარელი მწერალი არის ედგარ პო, რომელსაც გალაკტიონი თავის მასწავლებლად მიიჩნევდა და რომლის ფრაზაც თან მდევს: "ადამიანის ღირსება ხანდახან ისე შეუმჩნეველია ჩვენთვის, როგორც ქუჩაში გადმოკიდებული აბრები." რომ ვუკვირდები, მართლაც, რაც დიდად წერია რაიმე ქუჩაში, მით უფრო შეუმჩნეველია, პო ასევე აღნიშნავდა, ადამიანის გონება ზედმეტად მეწვრილმანეაო. ადამიანები როცა საუბრობენ ერთმანეთზე, მინუსზე უფრო აკეთებენ აქცენტს, პლიუსს საერთოდ არ ახსენებენ...

_ ეს სულის გაუხეშებაც წიგნთან, ლიტერატურასთან, ლექსთან დაშორების ბრალი ხომ არ არის? მეჯღანუაშვილების ფსიქოლოგიის ადამიანები მომრავლდნენ, ოღონდაც საკუთარი მყროკომფორტი შეიქმნან და სულაც არ ანაღვლებთ წიგნი, სპექტაკლი, ლიტერატურული საღამო.....

_ წიგნთან დაშორება იცით რამ გამოიწვია? ოტია იოსელიანს დავესესხები ისევ, ბავშვი რა გარემოშიც იზრდება, მასვე ემსგავსებაო. მშობლების უმრავლესობა დღეს საზღვარგარეთ არის წასული ეკონომიური პრობლემის გამო და სკაიპით რთულია, ურჩიო ბავშვს, რა წაიკითხოს. პირად მაგალითს უნდა აძლევდეს მშობელი შვილს. დღეს მშობლების უმრავლესობა იმაზე ზრუნავს, შვილს რა მარკის ტანისამოსი ჩააცვას, როგორ გაახალისოს თავისი შვილი, რა ტელეფონი დააჭერინოს ხელში, სხვას არ ქონდეს მის შვილზე უკეთესი, ფაქტობრივად, ამ ბავშვს მაგალითს არავინ აძლევს. და ისეთი დედები, რომლებიც კარგ მაგალითს აძლევენ შვილებს, არიან უმცირესობაში. ვისურვებდი, პირიქით იყოს, უმრავლესობაში იყვნენ ისინი და ასეთი გაუცხოება არ იყოს წიგნთან.

_ ფაქტია, გამომცემლობები, წიგნის მაღაზიები არ დახურულა, ესე იგი, მოთხოვნა წიგნზე არსებობს. რამ უნდა მოახდინოს სასიკეთო გარდატეხა საზოგადოების მენტალობაში, რომ უფრო მობრუნდეს წიგნისაკენ?

_ მინახავს ოჯახები, სადაც წიგნები თაროების გასალამაზებლად აწყვია და სხვა დანიშნულება არა აქვს. მკითხველი სჭირდება მას, მორწმუნეთათვის ხატი ხატია და ურწმუნოთათვის ხის ნაფოტიო. ის წიგნი ვიღაცამ უნდა წაიკითხოს, იმ წიგნში ჩადებული სიბრძნე ვიღაცამ უნდა გააანალიზოს..

_ ადამიანებს სამეგობროდ ბრენდული ტანისამოსის და ოქრო- ვერცხლის სამკაულების მიხედვით ირჩევთ თუ განათლებულობის კრიტერიუმით?

_ სხვათა შორის, ჩემთვის უმთავრესია, რამდენად ფართო დიაპაზონი აქვს ადამიანს. ახლახანს ვკითხულობდი ალექსანდრე ყაზბეგს, ის ამბობს, როცა ღარიბულად ჩაცმულმა ათასი სიბრძნე ვთქვი, ყურადღება არვინ მომაქცია და როცა თეთრ ჩოხაში გამოვეწყვე და საუბარი დავიწყე, ყველამ მე გამომხედაო! ჩაცმულობას ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას, ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ადამიანის შინაგანი სამყარო, ვიდრე მისი ვიზუალი....ზედმეტად შეიძლება მოგხიბლოს ადამიანის გარეგნობამ ან ჩაცმულობამ და მისი საუბარი აღარ იყოს შენთვის საინტერესო. სხვათა შორის, ჩემს წიგნიერებასა და წიგნის სიყვარულში უდიდესი წვლილი ჩემს მამას, თამაზ ფოფხაძეს მიუძღვის, მიუხედავად იმისა, რომ დედა, ნაირა ქორიძე პედაგოგი მყავს. ეტყობა, დედა რომ უყურებდა ჩვენს დამოკიდებულებას, შეეცადა, ნაკლებად ჩარეულიყო მასში. თავისუფალი დრო მე და მამას ოჯახში რომელიმე მწერალზე და მის ნაწარმოებებზე საუბარში გაგვყავს, ვმსჯელობთ, თუ რამდენად სულისშემძვრელია ეს ნაწარმოები, რა ეპოქაში დაიწერა იგი. რომ იძახიან ცივილიზაცია შემოვიდაო, სიმართლე რომ გითხრათ, დღეს ერთმანეთში ერევათ თანამედროვეობა და უზრდელობა. გაცილებით მეტი სიბრძნე იყო წინათ, მეეჭვება, ვინმემ ისეთი გენიალური რამ შექმნას, რაც უკვე შეიქმნა... ყველაფერი მაინც წიგნზეა დამოკიდებული, ადამიანის თვალსაწიერს, დიაპაზონს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ რთული ხდება ადამიანებთან კომუნიკაცია. დავსხდებით მეგობრები, მაინცდამაინც საჭორაოდ ხომ არ უნდა დავსხდეთ? როცა სასაუბრო თემა წიგნი არის ხოლმე, ეს იმდენად უცხოა ზოგისთვის, იძულებული ვარ, გავჩუმდე.

_ თანამედროვე მწერლებს როგორ იცნობთ?

_ დათო ტურაშვილს ვკითხულობ, ძალიან მომწონს, მაგრამ ძველ მწერლებში მეტ ცხოვრებისეულ სიბრძნეს ვპოულობ. სხვათა შორის, ყოველთვის ვიწერ საინტერესო ციტატებს. ძალიან მომწონს წასაკითხად ჟან ჟაკ რუსო. ჩემთვის, ბევრ მწერალს არ ჩამოუვარდება ეგნატე ნინოშვილი. მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ტრაგედიაა მის ნაწარმოებებში გადმოცემული. დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, ლეონტი მროველის წიგნი რომ წავიკითხე. მისი აზრით, "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" შოთა რუსთაველის ნაწარმოებია, რადგან რაღაცით არის მიმსგავსებული მას, ემთხვევა დაწერის თარიღიც. იყო პერიოდი, ვიყავი დაინტერესებული მსოფლიოში ყველაზე დიდი და პატარა წიგნით, წიგნის სამყაროს შესახებ ყველაფერი მაინტერესებდა... თუმცა ეს ინტერესი არც ახლა განელებულა.

_ რატომღაც ტექნიკური განათლების მქონე ქალებს იშვიათად ნახავთ მურმან ლებანიძის ან შოთა ნიშნიანიძის ლექსით ხელში...

_ მათემატიკა არის უზუსტესი მეცნიერება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ არ ვკითხულობ პოეზიას. ჩემს სამუშაო მაგიდაზე ყოველთვის დევს რომელიმე პოეტის კრებული. ამ წუთას შოთა ნიშნიანიძის წიგნი მიდევს.

დედა სულ მეკამათება, ვაჟა-ფშაველა რას იფიქრებდა, სამზარეულოში თუ შეიტანდნენ მის წიგნსო. სამზარეულოში შემიტანია გალაკტიონის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის პოეტური კრებულები... მთავარია, შეგნებით წაიკითხო და ჩასწვდე წიგნს. პატარა რომ ვიყავი, მახსოვს, მამა დადიოდა ოთახში და ჰყვებოდა შოთა ნიშნიანიძის "ხარს" და თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლოს აცრემლებული თვალებით და ათრთოლებული ხმით იტყოდა ხოლმე: "გვიმრავლე საქართველოში ვაზის და მზის მოხარკედა, ხარივით მსმელი ვაჟკაცი, ხარისთვალა და ხარქედა." მიხარია, ჩემი შვილები კარგი მსმენელები რომ არიან. ჯონათან სვიფტს აქვს ნათქვამი, ცოდნას იმისთვის ვიძენთ, რომ სხვებს მოვახმაროთო, აუდიტორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ აუდიტორია არ ჰყავთ, ბრძენკაცებსაც უნელდებათ სურვილი, რაღაც შეისწავლონ. არის მსმენელი, რომელთაც არც უნდათ წაიკითხონ.

_ გიჩუქნიათ წიგნი მეგობრებისათვის?

_ ამ საკითხში ძალიან პრეტენზიული ვარ. დედამ იცის ხშირად თქმა, მოდი წიგნი ვაჩუქოთო, ვარჩევ ხალხს, ვისაც შეიძლება წიგნი ვაჩუქო, მენანება მისთვის, ვინც მას არ გადაშლის. ჯობია, ის სხვა რაიმეთი გაახარო...

_ ცხოვრებაში რომელიმე მწერალთან ან პოეტთან საინტერესო შეხვედრას ხომ ვერ გაიხსენებთ?

_ სკოლის პერიოდში "ვეფხისტყაოსნის" ზეპირად კითხვის კონკურსში ვღებულობდი მონაწილეობას. იქ შევხვდი დავით ტურაშვილსა და გია ბულაძეს, რომლებიც იყვნენ ჟიურის შემადგენლობაში. ეტყობა, იმდენად ემოციური გამოსვლა მქონდა, სცენიდან რომ გავდიოდი, გამაჩერეს და წიგნის სიყვარულზე ვილაპარაკეთ. გალაკტიონის პოეზიაზე მკითხეს. ვუთხარი, არათუ გალაკტიონის პოეზიამ მომაჯადოვა, ვახტანგ ჯავახაძის "უცნობს" მეხუთედ ვკითხულობ-მეთქი. ეს მართლაც დაუვიწყარი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში...

გალერეა

"მიყვარს ჩემი საქმე"

ლეჟან გაბეჩავა

წიგნის საერთაშორისო აღიარებაზე, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე ამჯერად არაფერს ვამბობთ, ისედაც ყველაფერი ცნობილი და ნათელია.

როცა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორსა და მოადგილეს მოწინავე ბიბლიოთეკარების თაობაზე ვკითხე, არც დაფიქრებულან, ვომის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარზე, ქალბატონ მზია ჯინჭარაძეზე შეაჩერეს ყურადღება.

ქალბატონი მზია 1968 წლიდან მუშაობს ამ სისტემაში და საყვარელი საქმიანობის გარეშე ვერც კი წარმოუდგენია სიცოცხლე.

რომ არა საქმის სიყვარული, მართლაც ძნელია მიზერული ხელფასით მუშაობა დიდი ოჯახის დიდი დიასახლისათვის.

მეუღლე, სამი შვილი, მათი მეუღლეები და ექვსი შვილიშვილი ულამაზებენ ცხოვრებას ქალბატონ მზიას.

_ ბიბლიოთეკა სოფლის ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული, წიგნადი ფონდი 10 ათასს აღწევს, დაინტერესებული მკითხველების, ახალგაზრდებისა და არა მარტო მათთვის, ინტერნეტიც ხელმისაწვდომია, კომპიუტერული ტექნიკა რამდენიმე წლის წინ გადმოგვცეს. _ გვიყვება ქალბატონი მზია და თან მის და არა მარტო მის სატკივარზეც ამახვილებს ყურადღებას _ რაიონული გაზეთის გარდა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ დიდ სოფელს შესაბამისი თანხების უქონლობის გამო, არც ერთი გაზეთი და ჟურნალი არა აქვს გამოწერილიო. აქ როგორც იტყვიან, კომენტარიც ზედმეტია.

სოფლის ცხოვრებით, თანასოფლელთა ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობს ინტელიგენტი ქალბატონი, ამდენად, სულაც არ გაგვკვირვებია სოფელში ბოლო წლებში მოწესრიგებულ გზებსა და რეაბილიტირებულ წყალგაყვანილობაზე რომ გამოთქვა მადლიერება.

სამდურავი არც სოფლის თავკაცისა და სოფლის მაჟორიტარის მისამართით უთქვამს, პირიქით, ყველაფერს აკეთებენ სოფლისათვისო. _ დასძინა საუბრისას.

წლებს კი მისი გაუტანიათ და ბიბლიოთეკას უკვე რემონტი სჭირდება. რესპონდენტმა თბილი სიტყვები არ დაიშურა ახალგაზრდა კოლეგის, ია გორგოძის მისამართით, რომელიც მასთან ერთად სამი წელია მუშაობს დაუზარელად და ენერგიულად.

ლამაზი ღონისძიებები მრავალჯერ მოუწყვიათ გომის ბიბლიოთეკაში, ლამაზი წერილებით, სიუჟეტებით რომ დამშვენებულა.

ნანა ჩაჩუა, ანა გვენეტაძე, ნონა ნიკოლეიშვილი... ჩვენი მკითხველების ერთი ნაწილია, განსაკუთრებით კი ვახტანგ ნიკოლეიშვილზე, წიგნისადმი მის განუზომელ სიყვარულსა და დამოკიდებულებაზე მინდა საქებარი ვთქვაო, ქალბატონმა მზიამ.

ამ ციცქნა წერილით განსაკუთრებული არაფერი გვითქვამს, უბრალოდ ერთი დიდი სოფლის მოკრძალებული ინტელიგენტი გავაცანით მკითხველს.

ვიმედოვნებთ, შორს არ იქნება დრო, როცა ქვეყანაში ყველა, მათ შორის საბიბლიოთეკო სისტემის მუშაკებიც სათანადოდ დაფასდებიან, ხელფასებიც ღირსეული ექნებათ და ჟურნალ-გაზეთებიც იშრიალებენ 21-ე საუკუნის ბიბლიოთეკებში.

ჩვენ კი, ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს რესპონდენტს საქმიანობაში და მადლობას ვუძღვნით პროფესიის ერთგულებისადმი, თანასოფლელთა სამსახურით რომაა გამოხატული.

ბზობას გილოცავთ!

ბზობა, ბაიაობა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დღესასწაულია, (მოძრავი) მოდის აღდგომის წინა კვირა დღეზე.

ქრისტიანული კულტის მსახურებაში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა (საწყისს იღებს ძველი ებრაული დღესასწაულიდან). მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი იერუსალიმში.

იესოს ხალხი ზეიმით შეეგება, ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი პალმის ტოტებს, თან ''ოსანას'' შესძახოდნენ.

ბზობის რიტუალი სიმბოლურად იმეორებს სახარების ამ მოთხრობის ზოგიერთ დეტალს.

ბზობას მღვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ტოტებს აკურთხებენ გალობენ ''ოსანას'' და სხვა.

ბევრ ქვეყანაში პალმის მაგივრობას ბზა სწევს, აქედანაა წარმომდგარი ქართული ''ბზობა''.

ყველა მოქმედ ტაძარში ბზობას შესაბამისი მსახურება ტარდება.

გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

ნაკურთხი ზეთითა და ღვინით ცხებისას ავადმყოფ ქრისტიანზე საღმრთო მადლი გადმოდის

წმინდა ნიკოლოზ კავასილას აზრით, თითოეულ საეკლესიო საიდუმლოში მონაწილეობის წყალობით ჩვენ ქრისტესთან ვერთიანდებით, ჭეშმარიტად ვეზიარებით განხორციელებულ სიტყვას, ღმერთს, გამომსყიდველობითი ღვაწლის ერთ-ერთ მხარეს ჩვენი ყველა საეკლესიო საიდუმლოებაში მონაწილეობით და მათ შორის, ზეთის კურთხევის საიდუმლოშიც, ვინაიდან მასში უფლის ჯვარცმის ტკივილს ვინაწილებთ. საღვთისმეტყველო თვალსაზრისით, წმინდა წერილში, მარკოზის სახარებაში უფრო ღრმა აზრი გვხვდება: ''ქადაგებდეს, რათა შეინანონ და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს'' (მკ. 6. 12-13), ასევე გავიხსენოთ იაკობ მოციქულის ეპისტოლე: ''უძლურ თუ ვინმე არს თქვენ შორის, მოუწოდეს ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან; დაღაცათუ ცოდვაი რაიმე ექმნეს, მოვეტეტეოს მას'' (იაკ. 5. 14-15).

შვიდგზის ზეთისცხება შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთია და ის საქართველოში და სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებშიც დიდმარხვაში სრულდება, თუმცა, მისი შესრულება საეკლესიო წლის ნებისმიერ დროს არის ნებადართული.

მართლმადიდებელ ქრისტიანს შვიდჯერ ეცხება წითელ ღვინოში არეული ზეთი სასულიერო პირის, ანუ მღვდლის მიერ. ამ დროს იკითხება სახარება და ლოცვები სნეულთათვის ტაძარში მისული მრევლი კი კელაპტრებით ხელში უსმენს მსახურებას.

ზეთის კურთხევისას, ეკლესიის ერთობლივი ლოცვისა და ნაკურთხი ზეთითა და ღვინით ცხებისას, ავადმყოფ ქრისტიანზე საღმრთო მადლი გადმოდის, რომელსაც მისი ფიზიკური და სულიერი სნეულებების განკურნება შეუძლია. ზეთის კურთხევა უკავშირდება სინანულის საიდუმლოს. შვიდგზის ზეთისცხება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ერთხელ მაინც აქვს აღსარება ჩაბარებული.

თუკი ადამიანი აღსარებებში სრულად და გულწრფელად ვერ აღიარებს თავის ცოდვებს და ვნებები მძლავრობენ მასზე, სულთან ერთად მისი სხეულიც ზიანდება. რა თქმა უნდა, ხდება ისეც, რომ ადამიანს ავიწყდება მის მიერ ჩადენილი ცოდვები და ამით ცოდვის ფესვები მასში კიდევ უფრო ძლიერდება, სწორედ ამ მომძლავრებული ცოდვის დასაძლევადაა დამკვიდრებული ეკლესიაში ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულება. საინტერესოა, რომ ადრექრისტიანულ ეკლესიაში ზეთისა და წყლის კურთხევისათვის ერთი და იგივე ლოცვები იკითხებოდა. წყალი იკურთხებოდა ისევე, როგორც ზეთი, როგორც მკურნებელი თვისებების მქონე ნივთიერება, რომელიც ჰკურნავს ყოველ სნეულებას. ზეთის კურთხევის წესში მითითებულია, რომ კურთხევის დროს ზეთს უნდა შეერიოს ღვინო ან წყალი.

კონსტანტინეპოლის ადგილობრივ ეკლესიაში ზეთის კურთხევის დროს ზეთში ღვინის ნაცვლად წყლის შერევა იყო მიღებული. ღვინო და ზეთი სნეულების განმკურნებელი მადლის სიმბოლოებიც არის. როგორც ცნობილია, ძველად ამ ორივე ნივთიერებას ჩვეულებრივ იყენებდნენ მედიცინაში, ითვლებოდა, რომ ღვინო ჭრილობების დეზინფექციას ახდენდა, ხოლო ზეთი ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად ითვლებოდა.

იერუსალიმის ტიპიკონი გვამცნობს, რომ უძველესი დროიდან ზეთისცხება თანაბრად უტარდებოდათ სნეულებსაც და ჯანმრთელებსაც.

ძველ კურთხევანში ნათქვამია, რომ შვიდგზის ზეთისცხების საყოველთაო აღსრულების დღედ დიდმარხვის პერიოდი, კერძოდ, ვნების შვიდეული დიდი ხუთშაბათი ან დიდი შაბათი იყო დადგენილი. რადგან რიტუალს საკურნებელი ძალა გააჩნია, ამიტომ სნეულებზე ზეთისცხების საიდუმლო წელიწადის ნებისმიერ დროს სრულდებოდა, თუკი ამას ავადმყოფის მდგომარეობა მოითხოვდა, ან წლის ნებისმიერ დროს, როდესაც ადამიანს შეჭირვების ჟამი უდგებოდა. სულიერი თუ ფიზიკური თვალსაზრისით ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სავალდებულო არ არის, ყრმობის ასაკში ამ რიტუალის შესრულება მაგრამ თუ ბავშვი სნეულია და მოძღვარი ჩათვლის საჭიროდ, ამ შემთხვევაში დასაშვებია.

ადრექრისტიანულ ტაძრებში, როგორც ამას წმინდა ეპისკოპოსი სვიმეონ თესალონიკელი ადასტურებს, ზეთისცხებას აღსარების შემდგომ აღასრულებენ და იგი ცოდვათა მიტევებას განასახიერებდა.

ადრე სნეულთან შვიდი დღის განმავლობაში მიდოდა სასულიერო პირი და შვიდგზის აცხებდა ზეთს, შესაბამისად სახარებიდან და სამოციქულოდან სხვადასხვა ადგილების წაკითხვა შვიდჯერ ხდებოდა. რადგან ამ ტექსტებს შორის ზოგიერთი თემატიკა ზეთს უკავშირდება, ასევე ვისმენთ იმ მონაკვეთებს, სადაც მაცხოვრის მიერ სნეულთა განკურნების ამბებია მოთხრობილი.

ეს პირველქრისტიანთა ტრადიციებიდან მომდინარეობს. სწორედ ამ ტრადიციის გამო, შემდგომში დამკვიდრდა შვიდგზის ზეთისცხების შესრულებაც.

კურთხევანში წერია, რომ ეს წესი შვიდმა მღვდელმა უნდა აღასრულოს. თუმცა, საიდუმლო შეიძლება ერთი მღვდლის მიერაც შესრულდეს, რადგან მღვდელმსახური ეკლესიის სახეს წარმოადგენს და ნებისმიერ მღვდელს ხელეწიფება ამ საიდუმლოს სრული სახით აღსრულება. წმიდა იოანე დამასკელი სასულიერო პირებს ურჩევდა, რომ შვიდგზის ზეთისცხების აღსრულების წინ, ჯერ თავად ეცხოთ შვიდგზის ზეთი და მხოლოდ შემდგომ ამისა აღესრულებინათ ეს მსახურება.

უცნობია, თუ რის გამო, მაგრამ რუსეთში ამგვარი აზრი დამკვიდრდა, თითქოს ზეთისცხების საიდუმლოს მხოლოდ მაშინ უნდა მივეახლოთ, როდესაც სასიკვდილო სნეულება შეგვეყრება. საბერძნეთში კი, პირიქით, ჯანმრთელი ადამიანებიც იცხებენ ზეთს დიდ ოთხშაბათს. საეკლესიო საიდუმლოებანი ადამიანის ცხონების საკითხს ემსახურება. წმიდა წერილი კი საეკლესიო საიდუმლოების ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსსა და ცხოველი ქმედების უნარს ამჟღავნებს; ხოლო ღვთისმსახურთა შესახებ, რომელნიც ამ საიდუმლოთა აღმსრულებელნი არიან, გვაუწყებს: ''ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისანი'' (1 კორ. 4,1).

მიროფანა გიორგაძე
გიორგაძემ

აღდგომა

ის ღამე იყო ბნელით მოცული,
უსიხარულო, სურვილი ცათა,
სული მღვიძარი, თუმც დაქანცული,
მსახურების ჟამს გამოიცადა.
ბრძოლის ქარცეცხლად გამოწვეული,
დრო, ოდეს იღებს ახალ სათავეს,
სად გაზაფხულის სული გრძნეული
ხილულ სანახებს შეაკალთავებს.
აქ, სულს არა აქვს თავშესაფარი,
მით მზე ღრუბლებში აღარ მარცხდება,
განსაცდელია მუდამ საგანი,
ცილისწამებით გულს რომ აცხრება.
დედაო ღვთისავ! თვალს ვით უსწორებ,
ჯვარს, სადაც ებრძვის სულს მაცხოვარი?
იცოდი, განა, ეს იყო სწორედ
სიკვდილ-სიცოცხლის საბრძოლო ზღვარი.
სიკვდილის ურჩი გამოცხადება,
მით დამუნჯება უღვთო წამებით,
სულში ფიქრები დარდად ხვავდება,
მზეც გვემუქრება გარდაცვალებით.
და ისე როგორც ცივი გარემო,
სადღაც წყვდიადში იღებს სათავეს,
გსურს, სიხარული არ დაანებო
დრო სიხარულად დაინადარეს.
და მზეო, მხოლოდ შენს სხივთატყორცნას,
ვინც დაანებებს სულის სადავეს,
უკნანსკნელად აღმოთქვამს ლოცვას,
თავს კი არავის არ შეაბრალებს.
აჰ! გარდამოხსნა... როგორც წესია,
საფლავს მიანდეს გულით მწუხარით,
ვისაც რომ მადლი დაუთესია,
მზე აუნთია სიცოცხლის ქნარით.
ცისკრის ზარებმა უხმეს მარიამს,
და სხვა მარიამს, ქრისტეს საფლავთან,
მთვარე უნათებს ბილიკს ნამიანს
ანგელოზია საფლავის ქვასთან,
განაწყენებულ სახის იერით,
თქვა ანგელოზმა; _ არ გახსოვთ განა?
რომ აღსდგებოდა, რომ დამცირებით
მან დაიმკვიდრა ცა და ქვეყანა.
რად ეძებთ მკვდრებში ცოცხალს _ სიცხადით,
ის წინ მიგიძღვით გალილეისკენ,
მზე თუ ღრუბლებში ვერ შეიცანით,
თვალი გეჭიროთ მაინც ზეცისკენ.

აღდგომის დღესასწაულზე

გაზაფხულის მოლოდინის კვალდაკვალ
ოდეს გულში სიხარული იალებს.
საადგომო სამზადისის მხარდამხარ
ავენთებით, სულს ვგრძნობთ ანამზიანებს,
უსათუოდ, ცისკრის გამოძახილზე
უსათუოდ, მწყურვალების თანახმად,
დღე, აღდგომის ლოცვასავით გვაფხიზლებს,
სურვილს ბადებს საფლავების დანახვა...
და სიფხიზლედ, გარჯა უმაგალითო,
და ხალისი, როგორც წამის ღირსება,
რომ საფლავზე, ისევ ღმერთი ადიდო,
და უცქირო, მთვარე როგორ ივსება.

დავით ჩირგაძე

17 აპრილი მიცვალებულთა ხსენების დღეა

ჰამდენი წასულან

ამ სათაურით წლების წინ ჩვენმა უფროსმა კოლეგამ, ბატონმა ოთარ ნაფეტვარიძემ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა.

წლები გავიდა, სამწუხაროდ, მათ რიცხვს ბევრი მიემატა კიდევ.

დიდი ხანია იმიერში გადასახლდნენ ჩვენი უფროსი კოლეგები: ანზორ გრიგოლია, ვაჟა ნიკოლეიშვილი, ოთარ ნაფეტვარიძე, შოთა მაღლაკელიძე, ზოია კალანდაძე, სოსო ხაჟალია... ბევრჯერ ბევრი თბილი სიტყვა გვითქვამს, ბევრსაც ვიტყვით მათზე, მათ ადამიანურ ღირსებებზე.

მეხსიერებიდან არ იშლება რაიონში და არა მარტო რაიონში ცნობილი ადამიანების სახე, ერთგულად რომ მეგობრობდნენ გაზეთთან: შალვა ტყებუჩავა, შალვა გოგავა, როლანდ მეიშვილი, ვახტანგ ასათიანი, ნორა გიორგაძე, ვასიკო გოთოშია, იზო ჭოხონელიძე, თენგიზ ნიკოლეიშვილი, ვალერიანე მეგრელიშვილი, აკაკი ჯამბურია, იზოლდა ლორია, რაისა არველაძე, ნოდარ ადეიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე, ამირან კალაძე, თამარ გოთოშია, აზა კიღურაძე, შოთა ტაბიძე, ალექსანდრე ქუთათელაძე, სულიკო ნინუა, ალექსანდრე გეგუჩაძე, კარლო ძნელაძე, თემურ ყაჭეიშვილი, ავთანდილ ლომია, ავთანდილ ნიკურაძე, ლია კამკამიძე, გივი ნიკურაძე, ბუკულა შენგელია, ჯანიკო ბიბილეიშვილი, სილოვან ზამთარაძე, იური გელოვანი, გენო გეგეშიძე, ნელი დადიანი, ჩუტუ ნაცვლიშვილი, ლავრენტი თვალავაძე, ალიოშა ერქვანიძე, თინა ჭილაძე, სამსონ კაშმაძე, ვალერიანე ბიბილეიშვილი, მიხეილ ბულკათი, ოთარ შანიძე, მიხეილ ნამიჩეიშვილი, ეთერ ბუაძე, თინა ტკვაცირია, ნორმან რურუა, ზელიმხან ანდრიაძე, ჯონი ვაშაკიძე, ოთარ გეფერიძე, ნონა ნაცვლიშვილი, თემურ მეგრელიშვილი, გულნარა გიორგაძე, ნეოლინა ჯიქიძე, კახა თევზაძე...

სამწუხაროდ, აქ ჩამოთვლილი გვარ-სახელები მცირე ნაწილია იმ ადამიანებისა, ჩვენს თვალს რომ მიეფარნენ, თუმცა არაერთხელ საოცარი სითბოთი გაგვიხსენებია მათი ზღვარდაცული ურთიერთობები მშობლიურ გაზეთთან, მის შემოქმედებით ჯგუფთან.

სიცოცხლე არის ხანმოკლე გასეირნება ხანგრძლივი ცხოვრების წინო, არის ასეთი გამოთქმა.

მზე ჩასვლის შემდეგაც მნათობად რჩებაო, ესეც უთქვამთ.

მზესავით გვათბობს და ანათებს ამ ადამიანთა სახელები მათ ნათელ ხსოვნას მარადიულს რომ ხდის.

ნათელში იყვნენ!

მართლაც რამდენი წასულან!

ლევან გაბეჩავა

უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა!

გვმოძღვრავს სულმნათი წინაპარი.

დიდი ხანია არავინ დავობს, რომ ბავშვობიდან უნდა ეჩიაროს ადამიანი წიგნის სიყვარულს.

წიგნის, ადამიანთათვის ყველაზე ერთგული და განუყრელი მეგობრის პროპაგანდას გულისხმობს ყოველი წლის 2 აპრილს საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, რომელიც დიდი მეზღაპრის ანდერსენის დაბადების დღეს ეძღვნება.

ნაირფერი აპრილი მოვიდა აფეთქებული ატმის ყვავილებით...

დაპირებისამებრ, ბაშვებისათვის უკვე კარგად ნაცნობმა საბავშვო (და არა მარტო) პოეტმა ილია ლეკვეიშვილმა არც ამჯერად დააყოვნა და პატარა მეგობრებს ციცქნა, თუმცა დიდი და წრფელი სიყვარულით გამთბარი ლექსები შესთავაზა.

ვიმედოვნებთ, ნორჩები სიამოვნებით გაეცნობიან ახალ ლექსებს.

ლევან გაბეჩავა

მსუნაგი ფისო

არ გრცხვენია ფისუნია,
მაგიდაზე რომ ამხტარხარ?
მერე სადღაც დაიკარგე
და დილიდან არსად ჩანხარ!
კარგი, ყველი ჭამე, ჭამე,
გსაყვედურობ განა დაო?
მაგრამ, მაგ ყველს, არ იცი რომ
პურიც უნდა მიატანო?

თამაშობენ ბაშვები

კომში, კომში, ბია,
პირი დაგრჩა ღია!
თამაშობენ ეზოში
თამუნა და გია.
აწვალებენ ბოჩოლას: _
კუდა, კუდა, კუდა!
ზურგზე მოუკიდიათ
ტყუილების გუდა.
რას არ მოიფიქრებენ,
მოიწყენენ განა?
ხანაც ოჩოფეხებზე,
ხან ყირაზე დგანან.
ბებია და ბაბუა
აივანზე ზიან
და ღიმილით ბავშვების
თამაშს შესცქერიან.

დღე თანდათან დიდდება

ცოტა ქარი უბერავს,
ცოტაც ცივა, სულ ცოტა,
კარგი გვქონდა ზამთარი,
სულაც არ შეუცოდავს.
მალე გაზაფხულდება,
შეიფხიზლეს იებმა,
გამონაზამთრალმა მზემ
ციდან გადმოიხედა.
ბავშვებს გული გაგვითბო,
გაიხარეს დიდებმაც,
ღამე თან, თან ილევა,
დღე თანდათან დიდდება.

ეს ქვეყანა თქვენია

თქვენ რომ გხედავთ ყოველთვის
ჩემს ბავშვობას მაგონებთ,
წინაპართა აჩრდილებს
თქვენი ხმაც გააგონეთ.
ჩვენს სამშობლოს მრავალგზის
გულში დაჭრილს, ნაომარს,
თქვენი სიმხნე სჭირდება,
თქვენი გამბედაობა.
ამისთვის კი მთავარი. _
აი, რაა მთავარი _
კარგი სწავლა და გარჯა,
შრომა დაუღალავი.
სხვისი ხელის შემყურე
ნუ იქნებით ბავშვებო,
ეს ქვეყანა თქვენია და
თქვენვე უნდა აშენოთ.

გაიღვიძა ბუნებამ

გაიღვიძა ბუნებამ
იცვამს ფერად კაბას,
დაიკოკრა ვარდი და
ია თვალებს ნაბავს.
ამწვანებულ მინდორზე
მზე ყვავილებს ხატავს,
აფარფატდნენ პეპლები
აუსრულდათ ნატვრა.
აზუზუნდნენ ფუტკრები,
რას ეძებენ ნეტავ?
თურმე ყვავილებისგან
აგროვებენ ნექტარს.
მზის მარცვლები მეურნემ
მიწას მიაბარა...
მიხო მიტოს გასძახის
მოგეცესო ბარაქა.
გარჯაშია ყოველი,
სოფლად თუ ქალაქად,
გიოც წიგნებს უზის და
ლექსად ალაპარაკდა.

მოიღრუბლა უეცრად

მოიღრუბლა უეცრად,
ჩამობნელდა გარშემო,
ელვამ გაჰკრა, იქუხა _
თავს უშველეთ ბავშვებო!..
დასცხო წვიმა და სეტყვაც
იმდაგვარად დაუშვა,
მგონი გამოდარებას
სულაც პირი არ უჩანს.
თუმცა ქვეყნად მარტო მზე?
წვიმაც სასურველია,
ხასხასებდეს რომ მწვანედ
ჩვენი მთა და ველია.
მგონი ახალს არ ვიტყვი,
ნურც ვის გაუკვირდება,
რომ სიცხეში მზესაც კი
გაგრილება სჭირდება.
ბავშვები კი ნატრობენ,
მზეს და ზეცას კრიალას,
რა მოხდება ღამით რომ
წვიმდეს, დღისით კი არა?
... ისე ჩვენში დარჩეს და
არანაკლებ ბავშვებზე,
მეც მსურს, ღამე წვიმდეს და
დღისით მზე კაშკაშებდეს.

მიხვედრილი ფილიფფილი

ბებო ბოსტანში რომ ჩადის,
მეც წამიყოლებს თანა,
სადაც ნაირგვარ მწვანილებს
კრეფს და მასწავლის თანაც: _
აბა, ამასო რა ჰქვია?
შენსავით ალვისტანას,
ვერ ვეტყვი? _ იქვე ამიხსნის _
რეჰანიაო ნანა!
თუ ოდესმე არ ვისწავლი
მეცოდინება განა?
მერე ვკრეფთ მწიფე პომიდვრებს,
სანამ კალათა იტევს,
ზედ შემოვუწყობ მწვანილს და
მუქ-მწვანე ქორფა კიტრებს.
აქეთობას კი სირბილით,
ბოსტნის კარს რომ გავუღებ,
ვეღარ მიხვდაო, რომ არ თქვან
ხელჯოხსაც წამოვუღებ.

წამოიტირებს უეცრივ ბაშვი

წამოიტირებს უეცრივ ბავშვი,
ცა აცრემლდება და ზენა ქარი
ჩაუსაფრდება პატარას ხმაში,
და ათრთოლდება პოეტის ქნარი.
მღერის ნიავი და მერცხლის ფრთეებზე
გარწეული დილა ნანაობს,
ბავშვის თვალები მზის სხივებს ეძებს,
ბავშვის თვალებზე ცა მიქანაობს...
წამოიტირებს უეცრივ ბავშვი
და მერე ყველას დილამდე ღვიძავს,
წამოიტირებს უეცრივ ბავშვი,
თითქოს ქვეყანამ გამოიღვიძა.

გაზაფხულის სუნთქვა ისმის

გაზაფხულის სუნთქვა ისმის,
ჩიტი, ჩიტს ეკონება,
მზე სხივს ბღუჯა-ბღუჯა ისვრის
ენძელების კონებად...
ხარობს ცა და ხარობს მიწა,
სიო მოქრის მთებიდან
და იღვიძებს დედამიწა
ზამთრის გრძელ სიზმრებიდან.

გამარჯობათ ბავშვებო

გამარჯობათ ბავშვებო,
გოგონებო, ბიჭებო,
თქვენთან ყოფნა თამაშით
გული მინდა ვიჯერო.
როცა ამ წიგნს გადაშლით
მეც თქვენს გვერდით მიგულეთ,
თქვენებრ გამათამამეთ,
თქვენებრ გამადიდგულეთ.
გამახსენეთ ბავშობა,
ლაღი და უწყინარი,
რომ ჯერ გაზაფხულია
და ზაფხული წინ არი.
რომ ზამთარი შორს არი,
თუმც ყველა დრო ტკბილია,
რომ ამქვეყნად ღვთის მადლით
ამაოდ არ მივლია.
რომ რაც ვწერე და ვხატე,
ვათენე თუ ვაღამე,
მხოლოდ თქვენთვის, გჯეროდეთ
ყველა საქმეს გადავდებ...
ჰოდა, მოდით დავიწყოთ,
მოვიკრიბოთ გონება,
ბედნიერად ჩავთვლი თავს
თქვენ თუ მოგეწონებათ.

ილია ლეკვეიშვილი

წინ, რწმენით ქართველო! 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას

წინ, მტკიცე რწმენით და შენი გზით,
არასდროს დახვდები მტერს ფლიდად!...
შენ ძალგიძს, ვითარცა ფენიქსი,
რომ აღსდგე, ქართველო, ფერფლიდან.
გაუძელ სიკვდილის იერიშს,
ვერაფერს დაგაკლებს ის ხმლითაც,
შენ ძალგიძს უფრო მხნე, ძლიერი,
კვლავ აღსდგე დაღვრილი სისხლიდან.
მრავალი ორგული ქლესობს გარს _
გუშინ რომ მკერდს ისრებს გახლიდა;
ვერავინ მოგწყვიტოს ეზო-კარს,
ვერც ვერვინ გაგაგდოს სახლიდან.
შეჩვენდი! _ თუ ქედი მოხარე,
საკუთარ მამულს ვერ უარე,
მაოხრად მოსული მოყვარე _
დღეს გაყრის მტრისგანაც უარესს.
სისხლიან ღიმილის მჩენია
ეს მთები, ველი და ველობი;
ხამს შენი ნიჭი და გენია
აყვავდეს გარჯით და ქველობით.
შვენოდეს ქართული სახელი
შენს ქუჩას, ქალაქს თუ ნატახტარს...
სულს ბრძოლის წყურვილით ახელებს _
ქვეყანას რაც ტანჯვა გადახდა.
ჭირიმე მე შენი თმენისა,
თავისას მიაგებ ვერაგსაც,
წინ! _ მტკიცე რწმენით და შენი გზით,
არა გაქვს მოჭრილი ყველა გზა!
წინ! _ მტკიცე რწმენით და შენი გზით,
არასდროს დახვდები მტერს ფლიდად!..
შენ ძალგიძს, ვითარცა ფენიქსი,
რომ აღსდგე, ქართველო, ფერფლიდან!

ტიციან ტაბიძის გახსენება ორპირში

თოვლივით თეთრი თეთრ ხალათში ენახე ზმანებით,
ოცნება შენი ყანჩასავით დარჩა ფშანებთან...
ვინა თქვა _ ცეცხლის ჟრუანტელი რომ ფერფლს დანებდა,
კვლავ ლაჟვარდოვან სივრცეებში მიექანები.
მუხლმოდრეკილი ლოცულობდი ძვირფას ხატებთან
და გადახსნილი გულის სისხლით წერა გენება...
ტანჯულ ქვეყანას რომ ეწეროს გადაშენება,
მაშინ რუსთველის გენიაც ვერ გაგვანათებდა.
ამოცისკარდა, ამომზევდა შენი მიზანი,
დღეს სამშობლოში ჯავარიან სიტყვას გიქებენ,
უღვთოდ ჩამქრალო, გაზაფხულო, ასე ადრიან,
მე სამუდამო ხაშმით შენი ლექსი ვიცანი,
მისი ნექტარი, საოცარი, გვიან ვიგემე
და გულიც შენზე მწუხარებას გაუფატრია.

ალაკი თევზაძე
ჯოტო, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

ზინა (ვენერა) ჩიტია-ბოხუა

2 წელი გავიდა დედი, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ! რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვენატრები, გვაკლია შენი ხელი და დარიგება "არა დედი, ასე ჯობსო" რომ გვეტყოდი. გულს იმით ვიიმედებთ, რომ გვეუბნებიან, ასეთი არაფერი გვინახავს, შვილები და შვილიშვილები როგორ ზრუნავდით დედათქვენზეო, როცა შენ ეს ყველაფერი გესმოდა, როგორ გიხაროდა. ისიც კი გითხრეს ექიმებმა, როცა შვილების სადღეგრძელოს ვსვამთ, შენი შვილები გვახსენდება და ვლოცავთო, კერძოდ, თამრიკოს შეთანხმების გარეშე არაფერს გიკეთებდნენ. ის გადაამოწმებდა თბილისში საუკეთესო ექიმებთან და შემდეგ აგრძელებდნენ მკურნალობას, როცა ქუთაისის საავადმყოფოში მოხვდებოდი.

შეუფასებელი ამაგი გქონდა შვილიშვილებზე და შედეგიც სახეზეა _ რომ გაიგებდნენ ქუთაისის საავადმყოფოში იწექი 4-5 საათში თბილისიდან ლაშუკა და დიტუნა მანქანით შენთან იყვნენ, თოვლიან ამინდსაც კი მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. თამრიკო ხომ არ მოგცილებია საერთოდ, თბილისიდან სულ შენთან იყო. მე და გულო კი არაფერს ვზოგავდით, ოღონდაც შენ გვყოლოდი კარგად, ხშირად გვესიზმრები დედიკო და ის დღე ჩვენთვის განსაკუთრებულია. ასე გვგონია, ისევ ჩვენთან ხარ სინამდვილეში, ჯერ კიდევ ვერ გავითავისეთ ჩვენო დიდო იმედო, რომ ჩვენს გვერდით არ იმყოფები. შენს სულს იფიცებენ შვილიშვილები: დიტუკა, ლაშუკა, აჩი და გაგუნიკო. ძალიან ხშირად დადიან შენს საფლავზე და ქვაზე დახატულ ცივ სურათს ეფერებიან, მოსმენაც არ გვინდა, რომ შენზე წარსულში ვილაპარაკოთ.

ვენზე უზომოდ ფიქრგაფენილი შვილები: თამრიკო, ეზვინარი და გულო ბიხუები

დემურ ვეკუას გახსენება



გულისტკივილით გიხსენებთ, მოულოდნელი იყო შენი ამქვეყნიდან წასვლა, შენ ხომ ძალიან ახალგაზრდა, კეთილი, შესანიშნავი შვილი, მეუღლე, მამა და ახალგაზრდა ბაბუა იყავი. ჩვენს უბანს დაკლდა შენი სითბო და მზრუნველობა, ძალიან გვაკლიხარ, გჯეროდეს, არასოდეს დაგივიწყებთ!

ვენი უახლოესი მეზობლები: რამიზი, ეზვინარ და ჯიკი ფანცულაიები

ვეტერანთა რაიონული კავშირი დრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე

იაკობ კალაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ხათუნა გაგუას დედამთილის

ლამარა ტაბიძე-ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

მესამე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე

"სამომავლოდ ბრინჯაო ოქროთი უნდა შევცვალო"

ნათია ნაცვლიშვილი

უნგრეთის ქალაქ სომბათხელში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის, სადაც სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენი ივერი ჯულაყიძე 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. სამტრედიელმა სპორტსმენმა ხუთი საუმაოდ რთული შეხვედრა გამართა, ოთხი დამაჯერებლად მოიგო, მეხუთე დათმო და საბოლოოდ მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

ივერის გამარჯვება რიონის ქუჩაზე მდებარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საწვრთნელ დარბაზში მიულოცეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სპორტის სფეროს თავკაცებმა. უამრავი სამადლობელი სიტყვა ითქვა ასევე ივერი ჯულაყიძის მწვრთნელების, ვეფხია და ლაშა სტურუების მისამართით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წესრიგი, სისუფთავე და დისციპლინა, რაც ამ დარბაზში შესვლისთანავე იგრძნობა. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, ამ ცნობილი გამოთქმის ჭეშმარიტებაში თავიანთი ქცევით გვარწმუნებენ წესრიგისმოყვარე მომავალი სპორტსმენები. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, აქ ვარჯიში ლოცვით იწყება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა: "სპორტში თითქმის ყველა მიმართულებით მიღწევები აქვს ჩვენს მუნიციპალიტეტს, მაგრამ ჭიდაობაში მართლაც გამორჩეულნი ვართ, დავიწყოთ ვახტანგ ბალავაძით, მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავით, მის ტრადიციებს აგრძელებს ივერი და თითოეული თქვენგანი. ალბათ, აქ მომავალი ჩემპიონები არიან, მადლობას ვუხდი მწვრთნელებს, რომ ასეთი კარგი შედეგები გაქვთ. ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი არ არის პატარა შედეგი, ეს არ იქნება ბოლო სიტყვა ივერისათვის, ის კვლავ ბევრჯერ გვასახელებს. მჯერა, ამ დარბაზში მომავალი მსოფლიო ჩემპიონები, ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები იზრდებიან. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ყველას."

გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე: "ივერის გამარჯვება თითოეული ჩვენგანის გამარჯვებაა, პირველ რიგში, მწვრთნელების, გილოცავთ ბატონო ვეფხვია და ლაშა, ასევე გილოცავთ თქვენ, ახალგაზრდებო, ეს გამარჯვება არის საწინდარი მომდევნო გამარჯვებებისა და მაგალითის მიმცემი სხვებისათვის. ევროპის ჩემპიონატზე არცთუ იოლია გამარჯვება, თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 18 წლის ბიჭმა 23 წლის ვაჟკაცებს ტოლი არ დაუდო და ასეთ წარმატებას მიაღწია. ვულოცავ პირადად ივერის და ყველას წარმატებებს გისურვებთ."

ივერის და მის მწვრთნელებს გამარჯვება მიულოცეს მსოფლიო ჩემპიონმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ვეტერანთა შორის ბადრი შენგელიამ, რომელიც ასევე გახლავთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე და საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორმა, ირაკლი მელაშვილმა.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ვეფხია სტურუა: "მინდა, პირველ რიგში, მივულოცო ივერის, მის ოჯახს, სამტრედიას და მთლიანად საქართველოს ეს წარმატება. ივერისათვის ეს საერთაშორისო არენაზე მოპოვებული მეოთხე გამარჯვებაა. შეგახსენებთ, ის არის მსოფლიოს ოლიმპიური ახალგაზრდული თამაშების მესამე პრიზიორი, ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი, ახლა კი მოიპოვა 23 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი. ამა წლის ნოემბერში პოლონეთში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ივერი იასპარეზებს, მჯერა მისი შემართების და ვუსურვებ მას გამარჯვებას."

ივერის მამა ცნობილი მოჭიდავეა, ამიტომაც, ივერი ბავშვობიდან აქტიურად დაკავდა სპორტის ამ სახეობით. "სამტრედიის მაცნეს" მან განუცხადა: "

ყველა ქვეყანას თავისი ლიდერი სპორტსმენები ჰყავდა წარმოდგენილი,

მესამე ადგილისათვის საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ჩეჩენს შევხვდი და ექვსით ნოლი დავამარცხე. სამომავლოდ, ბრინჯაო ოქროთი უნდა შევცვალო, მაქვს ამის იმედი, რომ არა ეს განწყობა, არც გავაგრძელებდი სპორტულ კარიერას, ეს გამარჯვება ჩემი მწვრთნელების უდიდესი დამსახურება და შრომის შედეგია. 8 წელია ამ დარბაზში ვვარჯიშობ, აქ გავიზარდე, ვფიქრობ, ჩემი მეგობრების დიდი წვლილიცაა მასში, ისინი მაძლიერებენ და გვერდით მიდგანან. მჯერა, ამ დარბაზში ბევრი კარგი სპორტსმენი გაიზრდება."

მირზა შანიძე _ რამდენიმე საგნობრივი ოლიმპიადის გამარჯვებული

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტში მოგვიმრავლდნენ სხვადასხვა ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები. მირზა შანიძეც მათ რიგშია. ის მეოთხე საჯარო სკოლის მესამე კლასელია. იგი კინგსის მათემატიკის ოლიმპიადაში წარმატებული მონაწილეობისათვის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ამ საგნობრივ ოლიმპიადაში გამარჯვების გამო მირზა საქართველოს მასშტაბით თავისი საკლასო კატეგორიის რეიტინგში შვიდ საუკეთესო მოსწავლეს შორის მოხვდა. ამა წლის იანვარში წარმატებული მოსწავლე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კინგსის მიერ დაჯილდოვდა სასტუმრო "წყალტუბო პლაზაში" 4 დღიანი დასვენების საგზურით. ეს იყო შემეცნებით-დასასვენებელი ტურნე.

მირზა რედაქციაში დიპლომებით ხელდამშვენებული გვეწვია და შთაბეჭდილებები გაგვიზიარა: "განსაკუთრებულად მიყვარს საგნები მათემატიკა და ინგლისური. ჩემი კლასის დამრიგებელი შორენა თევზაძეა, სასტუმრო პლაზაში დაუვიწყარი ოთხი დღე გავატარე, სხავადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეებით დაკომპლექტებული გუნდები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ინტელექტუალურ გუნდურ თამაშებში, ვაწყობდით პრეზენტაციებს თავისუფალ თემებზე, ასევე, სპორტულ გუნდურ თამაშებს, ქართველი ბორჯღალოსნები გვიტარებდნენ რაგბის მასტერკლასებს. ეს ოთხი დღე ნამდვილად დატვირთული იყო კულტურული ღონისძიებით და შემოქმედებითი საღამოებით. ჩვენი გუნდის სახელწოდება იყო"ერმალოს კარის თამაშები". ძალიან საინტერესო და სახალისო იყო ეს დღეები."

მირზა დიპლომებით ხელხვავიანია სხვა საგნებშიც: წლეულს სმარტის ქართული ენის ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზე დაფიქსირა საუკეთესო შედეგი თავისი ქალაქის მასშტაბით და მიენიჭა სამტრედიის გამარჯვებული მოსწავლის სტატუსი. წლეულსვე, კინგსის ოლიმპიადაზე ინგლისურ ენაში საქართველოს მასშტაბით მოხვდა საუკეთესო 15 მოსწავლეს შორის და გახდა იმერეთის რეგიონის გამარჯვებული. მეორე კლასში სმარტის ოლიმპიადაზე მათემატიკაში, ნომინაციაში "მეთოდოლოგიური შერჩევა", გაიმარჯვა საქართველოს მასშტაბით და ივნისში მიწვეული იყო თბილისის შავი ზღვის უნივერსიტეტში დაჯილდოვებაზე, სადაც გადასცეს დიპლომი და ფასიანი საჩუქრები. იგი ასევე არის კინგსის 2016 წლის შემოდგომის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის იმერეთის რეგიონის მასშტაბით გამარჯვებული. მეორე კლასში მირზა ასევე დაჯილდოვდა სმარტის მათემატიკის ოლიმპიადაზე, მოხვდა საქართველოს მასშტაბით შვიდ საუკეთესო მოსწავლეს შორის და მიწვეული იქნა თბილისის შავი ზღვის უნივერსიტეტში დაჯილდოვებაზე, სადაც გადასცეს ფასიანი საჩუქრები.

მირზას მათემატიკასა და ქართულს დედიკო ასწავლის, ხოლო ინგლისურს _ პედაგოგი ხათუნა ხუჭუა. მირზა ინგლისურ ენაში მიღწეული წარმატებების გამო ხათუნა მასწავლებელს მადლობას უხდის.

სამტრედიის სპორტსკოლის მოსწავლეები ჭადრაკში ისევ პირველები არიან

დასრულდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ქუთაისში. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებით იასპარეზეს სამტრედიელმა მოჭადრაკეებმა. 9-დან 7,5 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა მეორე თანრიგოსან ჭაბუკთა შორის და პირველი თანრიგი შეასრულა მათე შენგელიამ (მწვრთნელი ბესო ლეჟავა). მეორეთანრიგოსან გოგონებს შორის 5,5 ქულით პირველობა ერგო ბარბარე გაგუას (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

მესამე თანრიგოსან გოგონებს შორის 6,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო ლიკა ხუჭუამ (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი), ხოლო მეოთხეთანრიგოსან ჭაბუკთა შორის პირველი იყო საბა ბოლქვაძე (მწვრთნელი ბესო ლეჟავა). მეორე საპრიზო ადგილი წილად ერგო ნინო მეფარიშვილს, ხოლო ექვს წლამდე უთანრიგო ჭაბუკთა შორის მეორე ადგილზე გავიდა ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე ლუკა რუხაძე.

მესამე თანრიგოსანთა შორის 5 ქულით მეორე ადგილი გოგონებს შორის დაიკავა მარიამ ჩარგეიშვილმა (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი).

გამარჯვებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ თასებით, დიპლომებითა და მედლებით. მადლობა სამტრედიის სპორტსკოლის დირექტორს ბატონ ივანე კილტავას სპორტსკოლის მოსწავლეებისადმი სათანადო ხელის შეწყობისათვის.

გულიკო გოგიტიძე
ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

უშანგი მარგიანი _ "გრანდსლემისა" და "გრან-პრის" პრიზიორი

ნინო ნანიტაშვილი

უშანგი მარგიანი ძიუდოს გულშემატკივრებს მორიგ სიურპრიზს სთავაზობს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ვერცხლის პრიზიორი და სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებში გამარჯვებული სპორტსმენი ამჯერად აზერბაიჯანის დედაქალაქში "გრანდსლემის" ტურნირში ღებულობს მონაწილეობას. ეს უკანასკნელი უფროსი ასაკის მამაკაცებს შორის, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ტურნირია რადგან მასში გამარჯვებული სპორტსმენები იძენენ სარეიტინგო ქულებს, განთესავს მსოფლიო კლასიფიკაციაში.

უშანგი მარგიანმა წელს მესამედ მიიღო ბაქოს "გრანდსლემში" მონაწილეობა. ორჯერ ვერცხლის მედალოსანი გახდა, ამჯერად კი ბრინჯაოს დასჯერდა. ორთაბრძოლები მარტის პირველ ნახევარში გაიმართა. სამტრედიელ ძიუდოისტს შეხვედრები ჰქონდა იაპონელ,

აზერბაიჯანელ, მონღოლ და უნგრელ მოჭიდავეებთან. 5 შეხვედრიდან მარგიანმა მხოლოდ ერთი დათმო, ისიც მასპინძელ აზერბაიჯანელ სპორტსმენთან და მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ცნობისათვის, ბაქოს "გრანდსლემის" საპრიზო ფონდი 150 000 ამერიკული დოლარი იყო, ხოლო სარეიტინგო ქულა _ 500.

თბილისში 31 მარტს დაიწყო და 2 აპრილს დამთავრდა ორთაბრძოლები. საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა ერთ-ერთ გამორჩეულ ტურნირს სახელწოდებით "თბილისის გრან-პრი", რომელშიც მსოფლიოს 36 ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას.

აქ საპრიზო ფონდი 100 000 ამერიკული დოლარია. უშანგი მარგიანი საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავს 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

მან თბილისში დაამარცხა ირანელი, მონღოლი, ინგლისელი, შვედი სპორტსმენები. უნგრელ მეტოქესთან დათმო ერთი შეხვედრა და აქაც მესამე ადგილს და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

მას სარეიტინგო ქულა _ 350 მიენიჭა.

უშანგი მარგიანს აქტიურად გულშემატკივრობდნენ და მის მიღწევებს თვალს ადევნებდნენ მთავარი მწვრთნელი, ავთანდილ თარგამაძე და მწვრთნელები ბესარიონ შვანგირაძე და ბადრი შენგელია, კლუბ "ფალავანის" დირექტორი, ირაკლი მელაშვილი.

ბაქოს "გრანდსლემისა" და "თბილისის გრან-პრის" დასრულების შემდეგ "სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ძიუდოში, ავთანდილ თარგამაძეს და შეფასებები სთხოვა: "უშანგი მარგიანი ბოლო 4 წელია, 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. ამ წონაში მან უამრავ შედეგს მიაღწია. იგი ათეულში შევიდა მსოფლიო კლასიფიკაციაში. ამჟამად მან შეიცვალა წონითი კატეგორია და გადავიდა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. აქ უშანგი მარგიანმა ზემოაღნიშნული 2 შეჯიბრი ჩაატარა და როგორც ხედავთ, საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. იგი ახალგაზრდა და ნიჭიერი სპორტსმენია. თავდაუზოგავად შრომობს, გამოირჩევა ეფექტური ქმედებებით. მაქვს რწმენა, ის კიდევ ბევრჯერ გაახარებს ძიუდოს გულშემატკივრებს. მისი შესრულებით მრავალჯერ დაიკვრება საქართველოს ჰიმნი".

ვულოცავთ!

ბატონებს ბადრი კაპანაძესა და ავთანდილ უგულავას ვულოცავთ დაბადების დღეს. ხანგრძლივ სიცოცხლესა და უფლის წყალობას ვუსურვებთ.

ვეტერანთა რაიონული კავშირი

მერი შეყრილაძეს!

მერი დეიდა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და იმ მეხსიერების შენარჩუნებას, რომელიც დღემდე გაგაჩნია შენი შვილების, შვილიშვილების და საყვარელი ადამიანების მიმართ.

მზევინარ ბიჩუა

თქვენ არასდროს გავიწყდებათ ჩემთვის დღესასწაულების მოლოცვა, პირიქით, მასწრებთ კიდეც. თქვენეული "იცოცხლე, დედა!" _ ლოცვასთან ერთად სიყვარულს, სურვილებს, ზრუნვასა და დედაშვილობის მადლს იტევს.

მადლობა ამისთვის!

თქვენც დიდხანს იცოცხლეთ, მერი დეიდა! იცოცხლეთ ბედნიერი დედისა და ბებიის თვალგაბრწყინებით, მხნეობით, ჯანმრთელობით, თქვენი კოხტაობითა და უბერებელი სულით!

კიდევ და კიდევ მრავალჯერ გილოცავთ შრომით, ჯაფით, დარდით თუ უდარდოდ, ტკივილით თუ უტკივილოდ, სიხარულიანი დღეების სიმრავლით გადავლილ 90 წლის იუბილეს!

უფალი გფარავდეთ!

სიყვარულით თქვენი ქეთი ჭელიძე

სამგალითო მუშაკები

მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა "ჯეოპოსპიტალსის" მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის მედპერსონალს. ექიმები პაციენტებისადმი უაღრესად დიდ ყურადღებას გამოხატავენ და პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ორჯერ მოვხვდი საავადმყოფოში და დიდი სითბო ვიგრძენი როგორც ექიმებისაგან, მედდებისა და სანიტრებისაგან, ასევე, მიმღებში მყოფთაგან. ჩემი პირადი ექიმები იყვნენ ქირურგი არჩილ ბეჟუაშვილი და კარდიოლოგი ნუნუ აბრამია. ისინი სამაგალითოდ ასრულებენ ექიმის მიერ დადებულ ფიცს. საავადმყოფოს ყველა განყოფილებაში იდეალური სისუფთავეა, რაც ასევე სასიამოვნოა. ყველა ის სიკეთე, რაც აქ არსებობს, საავადმყოფოს უფროსის დიდი დამსახურებაა. უღრმესი მადლობა მას. ვუსურვებ ამ ადამიანებს წარმატებას პირად და შრომით საქმიანობაში. ისინი ხომ ჩვენი სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან.

ანანო ბაბუნაშვილი

კვების ობიექტს "ხელს გააყოლე" ესაჭიროება გამყიდველი ღამის ცვლაში 18-დან 40 წლამდე ასაკის ქალბატონი. მსურველებს შეგიძლიათ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. სამტრედია, აღმაშენებლის ქ. № 291.
ტელ.: 551 88 34 34.

გაიხსნა სადღესასწაულო-სარიტუალო დარბაზი 250 კაცზე, სამტრედია დიდგორის ქ. № 36-ში (ყოფილი ჯაფარიძის ქუჩა).

**ტელ.: 568 91-79-81,
555 41-62-56.**

12 აპრილი ავიაციისა და კოსმონავტიკის მსოფლიო დღეა! ზევით, ზევით...

მაღლა და მაღლა ისწრაფვოდა ადამიანი, რათა შეეცნო მანამ უცნობი სამყარო.

"სპუტნიკ _1" იყო დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც 1957 წელს (60 წლის წინ), 4 ოქტომბერს კოსმოსში იქნა გაშვებული კოსმოდრომ ტიურა ტამიდან (მოგვიანებით ეწოდა "ბაიკონური").

დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრი "სპუტნიკ _2" კოსმოსში 1957 წლის 3 ნოემბერს გავიდა. მის ბორტზე იყო ცოცხალი არსება _ ძაღლი ლაიკა.

როგორც ერთი, ისე მეორე ფაქტი მსოფლიომ კანონიერად აღიარა უმნიშვნელოვანეს მოვლენად. ახალი ერის დასაწყისად კოსმოსის ათვისებაში, ანუ უბრალოდ კოსმოსური ერის დასაწყისად, თუმცა ყოველივე ამით არ დასრულებულა.

1961 წლის 12 აპრილს კოსმოსური ხომალდი "ვოსტოკ _1" გაფრინდა კოსმოსში, რომლის ბორტზეც პირველი დედამიწელი, კოსმონავტი **იური გაგარინი** იმყოფებოდა.

გავიდა დრო და კოსმოსში გაფრინდა პირველი დედამიწელი ქალი, **ვალენტინა ტერეშკოვა.**

დედამიწიდან შორს კოსმოსშიც შესანიშნავად დამტკიცდა, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლებ არ ძალუძთ სიძნელეთა გადალახვა.

80 წელი შესრულდა ვალენტინა ტერეშკოვას დაბადებიდან, იგი ერთადერთი ქალბატონია, კოსმოსში მარტო რომ იმოგზაურა.

ამ დღეებში ქალბატონი ტერეშკოვა დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან თბილ მილოცვებსა და კეთილ სურვილებს იღებს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

სვეტლანა სავიცკაია გახლდათ მეორე ქალბატონი, კოსმოსი რომ დალაშქრა, ოღონდ ბორტზე მასთან ერთად სხვა კოსმონავტიც იმყოფებოდა.

წარსულს ჩაბარდა დრო, როცა საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ლამობდნენ კოსმოსი გამალებული შეიარაღებისათვის, კოსმოსური ომების საწარმოებლად გამოეყენებინათ.

დღეს კი, დღეს კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს კოსმოსის კვლევა, ათვისება, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ კეთილი მიზნებისათვის.

ლევან გაბეჩავა

სამტრედიელი კარატისტების მორიგი წარმატება

25-26 მარტს სომხეთის ქალაქ ერევანში გაიმართა ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში "სომხეთის თასი _ 2017". სამტრედიის სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელი მიხეილ ქანთარია). კიოკუშინკაიელებმა ამჯერადაც იმარჯვეს და საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს. გოგონათა შორის პირველი ადგილი მანანა მუქერიამ დაისაკუთრა, მეორე ადგილზე მარიამ გოგიტაური გავიდა.

ვაჟთა შორის კი პირველი ადგილის მფლობელი მურმან დერბიში გახდა.

"სამტრედიის მაცნე"

ანანო პაპავას!

ჩვენო ანანო, სხვებივით შენც რედაქციის შვილი ხარ, ჩვენი სიამაყე და გულწრფელი სიყვარული. გვინდა, რომ წარმატებული და ბედნიერი იყო, ღიმილს ემატოს შენს ცხოვრებაში, სიძნელეები დაგეძლიოს. მიზნისკენ მისასვლელ გზიაზე არასდროს ჩაგემუხლოს.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო გოგონავ!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა